ცელიწადი მესამე | ფასი 10 კაპ. | პარასკევი, 1917 წ. თიბათვის 23 (5)

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

ხელის მოწერა და დაბეჭდილი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ ред газ. „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., უკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე შემდეგ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15X2 ღირს 6 მ.; 20X2 ღირს 8მ., 25X2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ეღირ. მეტი. ცალკე ნომერი გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№ 135 | ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა | № 135

# თბილისის წვრილო ვაჭრებო!

## თბილისის წვრილ ვაჭართა საპროფესიო საზოგადოების მთავარი კომიტეტი

ამით გიცხადებთ თქვენ, როგორც უბნის კომიტეტებს, აგრეთვე წვრილ ვაჭართა საზოგადოების წევრთ, რომ ყველა წვრილ ვაჭართა, სავაჭროები უნდა გაიღოს დილის 7 საათზე და დაიკეტოს საღამოს ცხრა საათზე, კვირა უქმე დღეებში კი ვისაც შეუძლია უმოსამსახუროთ ვაჭრობა მათ გაიღონ სავაჭროები დილის 7 საათზე და დაკეტონ ნაშუადღევის ორ საათზე. თუ რომელსამე ჰყავსთ მოსამსახურე, იგი თავის ვადაზე მოვიდეს და თავ-თავის ვადაზე წავიდეს დაუბრკოლებლად.—ხოლო არავის ნება არა აქვს წვრილი სავაჭროები, ძალ-მომრეობით დააკეტინოს და თუ სადმე ამ გვარი ძალმომრეობის და თავისუფლების შემზღუდველნი გამოვლენ,—ვავალებთ წვრილ ვაჭრებს, გამოარკვიონ მათი ვინაობა და მისამართი და მთავარ კომიტეტს წარმოუდგინონ შესაფერი ზომების მისაღებად.

ამასთანავე ვავალებთ თბილისის ყველა წვრილ ვაჭრებს: ყველამ თავისი სრულწლოვანი ოჯახის წევრებით: ქალმა და კაცმა მიიღოს ბეჯითი და მედგარი მონაწილეობა ქალაქის არჩევნებში.

ახლავე მიიღონ ზომები, რომ საარჩევნო სიებში არ იყვნენ გამოტოვებულნი და თუ ამ გვარები აღმოჩნდებიან, დაუყოვნებლივ უნდა მივიდნენ თავ თავის უბნის საარჩევნო ბიუროში და ჩაეწერონ ქალი და კაცი ოცი წლის ხნოვანობიდან ყველანი.

თბილ. წვრ. ვაჭარ. პროფ. მთავ. კომიტეტი.

1—1353—1

# გაზეთის შინაარსი

## საგულისხმო ცნობები

კავკასიის 1-ლ და 184 დივიზიის ქართველმა მეომრებმა ირაკლი წერეთელს სთხოვეს იზრუნოს საქართველოს ავტონომიისათვის.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა კომიტეტი რუსეთის ცენტრალ ორგანოდ გამოცხადდა.

გლეხთა ყრილობამ თავმჯდომარედ ნოე ჟორდანია აირჩია.

---

თიბათვის 18-სა და 19-ს რუსის ჯარმა ტყვედ წამოიყვანა 300 ოფიცერი და 18,000 ჯარისკაცი.

ჩეხელი სოციალისტები დამოუკიდებელ სახელმწიფოს მოითხოვენ.

ფინეთი რუსეთს 350 მილიონ მანეთს სესხად აძლევს.

## წერილები

მეთაური. პურის მოსავალი საქართველოში.
ა. ასათიანი. რევოლუციის გაღრმავება.
რ. ინგილო. თბილისის არჩევნები.

ქართველ მსროლელთა პოლკის ოფიცრობა
გულის ტკივილით აცნობებს საზოგადოებას, რომ ქურთისტანში (სპარსეთში) თიბათვის 8 ს ბრძოლაში მტრისგან მოკლული იქმნა ძვირფასი ამხანაგი, ოფიცერი
გრიგოლ სილიბისტროს ძე
გოცირიძე
რომლის ცხედარიც მოასვენა სამშობლოში იმავე პოლკის ადიუტანტმა, დიმიტრი სოფრომის ძე ალაძემ. მიცვალებული დაკრძალული იქნება სოფ. [illegible], [illegible] მაზრაში, თიბათვის 24
3—683—2

სიმონ ზაალისძე მიქელაძე მეუღლით ბარბარეთი, გიორგი იოსებიძე და ალექსანდრა ზაალის ასული მამაცაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი
ნინას
უდროოდ გარდაცვალებას.
დაკრძალვა მოხდება დღეს, 23 თიბათვეს, სოფ. რუისის საკრებულო ტაძარში დილის 10 საათზე.
1—688—1

# სახლის პატრონთა საყურადღებოდ

მეეზოვეთა საპროფესიო კავშირის გამგეობისაგან ასეთი განცხადება მომივიდა:

„ჩვენ სახლის პატრონებს მინიმალი მოთხოვნილებანი წარვუდგინეთ, მაგრამ მრავალმა მათგანმა დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია, ქალაქი რომ მოუვლელი და უსუფთაო არ დარჩეს იძულებულნი ვიყავით მათთვის სამი დღის ვადა მიგვეცა ჩვენის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ჩვენს წმიდა საქმეში თქვენც დახმარებას გთხოვთ“-ო.

როცა ასეთი განცხადება მომივიდა, გამგეობას ავუხსენ, რომ გაფიცვა რევოლუციის გამაგრებას და წესიერების დამყარებას ხელს შეუშლის და წინადადება მივეცი გაფიცვა სხვა დროისთვის გადადონ. ჩემი მხრივ მათ და სახლის პატრონთა შორის საქმის მოწყობაში დახმარება აღთქვი.

ყველა ამის გამო, მივიღე რა მხედველობაში, რომ ქალაქის მშვიდობიანობისათვის სახლის პატრონები მოვალენი არიან მეეზოვეები იყოლიონ, ვთხოვ მოქალაქე სახლის პატრონებს, დაუყოვნებლივ დაიქირაონ მეეზოვეები და ამასთანავე მათთან მოლაპარაკება გამართონ ცენტრალ მომრიგებელ კამერის შემწეობით, მეეზოვების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საკითხზე.

ამასთანავე ჩემს მოვალეობად ვრაცხ გავაფრთხილო მოქალაქე—სახლის პატრონები, რომ თუ თითონ არ დაიქირავებენ მეეზოვეებს, მაშინ მე მუშათა და ჯარისკაცთა სადეპუტატოს აღმასრულებელ კომიტეტსა ვთხოვ, ნება მომცეს მე დ ვიქირაო მეეზოვეები სახლის პატრონების ხარჯით.

**მისამართები.** 1) ცენტრალ მომრიგებელ კამერისა: პეტრე დიდის ქუჩა, № 18. 2) მეეზოვეთა საპროფესიო კავშირისა: მე 5ე ნაწილი, მეიდნის შესახვევი, № 6.

თბილისის საქალაქო მილიციის უფროსი ქაჩუხაშვილი.

1917 წ. თიბათვის 20.
ქ. თბილისი.

1—745—1

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუღალტერ კალატოზიშვილთან.

10—742—1

საუკეთესო საწერი
„მელანი“
ალიზარინის ფერისა, დავამზადე და ვყიდი ბოთლს 10 მანეთათ.
1 ბოთლიდან გამოდის 10 გირვანქა მელანი, გირვანქა ჯდება 1 მანეთი. 2 გირვანქა სიროფია მოხარშული, წმინდა წყალი დაესხმება 8 გირვანქა და დაჰანჭყარდება, მეტი არაფერია საჭირო, მელანი საწერათ მზათ იქნება.
მისამართი ადრესი ქ. თელავი კ. ონიკაშვილი.
6—741—1

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთზე
1917 წ. ჩვენი ქვეყანა 1917 წ.
გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეკტემბრის დამლევამდი.
რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.
რედაქტორი დ. კვირკველია.

## ეროვნულ-დემოკრატ. პარტიის მე-X და XII უბნის კომიტეტი

მოუწოდებს უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთ და თანამგრძნობთ დაესწრონ

### საერთო კრებას

რომელიც გაიმართება 25 თიბათვეს, დილის 11 საათზე, ახალ საკრებულოში (მიხეილის ქუჩა № 129).

**კრების საგანი:** მოხსენება დელეგატისა კონფერენციის მუშაობის შესახებ და საქალაქო არჩევნები.

3—742—1

ექიმი
გ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით
ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—53.

ექიმი
მ. ი. მაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ნიკოლოზის ქ. № 4. (ო.—202—)

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ ლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ექიმი
მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი ქალისა
ე. ივ. ბაღარჯიშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ნერსესიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

[illegible]
მოსე ანტონოსის ძე
კალანდარიშვილი
[illegible]
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს
მანგლისში
საკადეტო კორპუსის ბანაკში

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმება
ა. მ. მუხაძე
იღებს ხალხოსნური ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

## თბილისი, თიბათვის 23.

### პურ'ს მოსავალი საქართველოში

სოფლებიდან ცნობა მოდის, რომ ბოლოინდელმა წვიმებმა დიდი ვნება მოუტანა პურისა და სიმინდის ყანებს, ქართლ-კახეთსა, სამეგრელოსა და გურიაში. წელს არ მოელიან იმის ნახევარსაც, რასაც იძლევა შუათანა მოსავალი.

დასახელებული რაიონები მთელი ჩვენი ქვეყნის ორ მესამედს შეადგენს. ამას რომ დავუმატებთ იმასაც, რომ ჩვენს სამშობლოში არც სხვაგან მოელიან კარგს მოსავალს, და რომ ყოველგან, მუშა ხელების ომში გაწვევის გამო, მიწა დაითესა ჩვეულებრივზე ნაკლები,—მივალთ იმ სამწუხარო დასკვნამდი, რომ ჩვენი ქვეყანა ეხლავ სასურსათო განსაცდელშია.

ეს განსაცდელი კი იმას მოასწავებს, რომ უნდა დავიმშეთ თუ ეხლავე არ დავიჭირეთ საჭირო თადარიგი. დაუყონებლივ უნდა ავამოქმედოთ კერძო, საზოგადოებრივი, პროფესიონალური და ადმინისტრატიული თაოსნობა.

უნდა შევიგნოთ, რომ ფული, კერძო მოვაჭრე და პურის საცხობები ვერაფერს გვიშველის, როცა პური არ იქნება. რაც არ არის, იმას ვერავინ იშოვნის და ვერც ფულით იყიდის.

გასაჭირის გაადვილებისათვის, ჩვენის აზრით, ეხლავე აუცილებლად საჭიროა: ეხლავე მივაწოდოთ უფრო საჭირო ადგილებში, იქ სადაც მკა ჯერ არ დაუწყიათ, მოსამკალი სალეწი და სხვა მაშინები, ის მაინც, რაც უკვე მიუღია ამ მიზნისათვის კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას. ქართლში და იმერეთში ამ საქმეში არსებითი დახმარება შეუძლიათ ადგილობრივ სამეურნეო საზოგადოებებს.

მაშინით მკა, ლეწვა და განიავება იძლევა ეკონომიას ხორბლისას, აუმჯობესებს ღირსებას პურისას სიწმინდის მხრივ და ერთი ორმოცად უფრო მალე სრულდება, ვიდრე ხელით მუშაობის დროს. ამას კი ის მნიშვნელობა აქვს, რომ მალე გალეწვა და განიავება პურს ხშირად აცდენს მინდორში წვიმასა და ძლიერ ქარს.

გარდა ამისა, ამ სიძვირის დროს, როცა შავი მუშა, სოფლადაც კი, ღირს არა ნაკლები 7—8 მანეთი დღეში, დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ყოველ თითოეულ დღის ეკონომიას, რაც საერთო ჯამათ ალებული დიდ თანხას შეადგენს.

ასე ნაჭირნახულევი პური რომ არ გაქრეს ჩარჩებისა და მდიდრების საწყობებში, სავინიცობოთ ერთი ათად უფრო ძვირათ გასაყიდათ ნასყიდობის ფასებზე, საჭიროა გამოიცეს დროებითი კანონი, რომ წლევანდელი მოსავალი პურისა მთავრობამ შეისყიდოს სამართლიანის ფასებით, და შეინახოს სასურსათო კომიტეტის საწყობებში. საწყობებიდან პური მიეყიდოს უსათუოდ მუნიციპალურ, კოოპერატიულ და რაც გადარჩებათ, კერძო პურის საცხობებს კვირაში ერთხელ, თითოეულ საცხობის რაიონში მცხოვრებთა რიცხვის კვალობაზე.

გარდა ამისა, რაკი პურის ჩვენში შემოზიდვა ერთად ერთის რკინის გზის ლიანდაგით კოჭლობს ომის გარემოებათა გამო, საჭიროა ეს შემოზიდვა მოეწყოს წყლითაც—ვოლგით, კასპიის ზღვითა და მტკვრით და რამდენათაც შესაძლებელი იქნება შავი ზღვითაც. როგორც ვიცით, პატარა გემები მოდიან ევლახამდი, ევლახიდან კი, რკინის გზის გარდა, შეიძლება პურის წამოღება დიდრონი ბარქაზებით.

ყველა ამ ღონისძიებამ შეიძლება პურით ვერ აგვავსოს, მაგრამ თუ შიმშილს მაინც აგვაცდინა, ისიც კარგი იქნება.

### რევოლიუციის გაღრმავება

რევოლიუციის დასაწყისიდანვე რევოლიუციის მახლობელ მიზნათ მისი გაღრმავება და გაფართოება იქმნა დასახული. ეს ფორმულა უანექსიო და უკონტრიბუციო ზავზე უფრო გამოურკვეველი გამოდგა. რასაკვირველია გასაგებია რუსეთის სურვილი, რომ რევოლიუციური ქარიშხალი ევროპის სახელმწიფოებსაც სწვევოდა. ეს დადგენდა მეომარ სახელმწიფოთა შორის ერთგვარ თანასწორობას და მიუწყებულ ინტერნაციონალის აყვავებასაც ხელს შეუწყობდა, ეს იქნებოდა რუსეთის რევოლიუციის გაფართოება.

რევოლიუციის გაფართოება უწინარეს ყოვლისა გერმანეთს უნდა შეხებოდა, მაგრამ რევოლუციის ალმაც კი ვერ გაატანა მის ჯავშნიან კედლებს. პეტროგრადიდან გადასროლილი ნაპერწკალი ფოლადად ქცეულ მეზობელს ასცილდა და ბრიტანეთის კუნძულზე დაეცა. მოსალოდნელი იყო იქ მისი გაღვივება. რომელმაც ქალაქში მუშათა და სალდათთა საბჭოც კი ამოირჩიეს, მაგრამ ეს სარევოლუციო ცეცხლი ბრიტანეთის ნისლიან კუნძულზეც მალე ჩაქრა. ამ ჟამად ევროპის დემოკრატია, როგორც სჩანს სრულებით არ ჰფიქრობს რუსეთის მაგალითის მიბაძვას. ის ელჩებსაც კი უგზავნის რუსეთის დემოკრატიას, რომ მას სარევოლუციო პროგრამაში ზოგიერთი შესწორებები შეატანინოს. ჯერ ფრანგი სოციალისტები, შემდეგ ინგლისელი და ბელგიელი ესტუმრენ პეტროგრადს, რომ რუსეთის რევოლუციის წინაშე თავისი დიდი აღფრთოვანება გამოეხატათ და მცირე დარიგება კი მიეცათ.

რევოლუციის გაღრმავებას უფრო კარგი ბედი ეწვია. გაღრმავების პროცესი სწარმოებს შეუჩერებლივ, ხოლო არ იყო გამორკვეული თუ რა გზით და რა ზომამდე უნდა მომხდარიყო ეს გაღრმავება. ალბათ იმით აიხსნება, რომ მაზე დღეს უფრო ბოლშევიკები და ანარქისტები მუშაობენ. სხვა რევოლუციონური ძალები უკვე ამათ შეკავებას და დარაჯობას უნდებიან. საყოველთაოდ მიღებული იყო, რომ რუსეთის რევოლუცია სამმა ძალამ მოახდინა—მუშებმა, ჯარმა და ბურჟუაზიამ. ამ გაღრმავების შედეგი ის არის, რომ ამ სამს ერთი უკვე გამოაკლდა. ამბობენ, ამის მიზეზი ბურჟუაზიის სიმხდალე და ლაჩრობააო. მრეწველთა ერთს ყრილობაზე ერთი მუშა, გვარად კოცბანი, კიდეც დაემუქრა ბურჟუაზიას ასეთ ღალატისათვის—სრულიად მოგსპობთ და გაგანადგურებთო.

ჩვენ არ ვიცით სისრულეში მოიყვანს მოქალაქე კოცბანი თავის მუქარას თუ არა. აშკარაა კი

არის, რომ რუსეთის ბურჟუაზია ტკბილ წუთებს არ განიცდის. ჯერ იყო და თავისუფლების სესხი გამოცხადდა. ეს ბურჟუაზიის ერთგვარი გამოცდა იყო. მას უნდა დაემტკიცებინა თავისი თანაგრძნობა რევოლიუციისადმი. იყო ცნობები, რომ ამ სესხს ბურჟუაზიული წრეები კარგად შეხვდენ. დღეს ფინანსთა მინისტრი შინგარიოვი ოფიციალად ადასტურებს, რომ ახალს თავისუფალს სესხზე ბურჟუაზიულმა წრეებმა რამოდენიმეჯერ მეტი ფული გაიღეს, ვინემ წინანდელ ასეთსავე სესხზეო. ამასთანავე სხვა უფრო დემოკრატიულ ელემენტებმა ამდენჯერვე ნაკლებად გაიღეს მსხვერპლი, ვინემ წინეთო. ეს პირველი გამოცდა ბურჟუაზიამ დაიჭირა. ამის შემდგომ მას მოსთხოვეს, რომ მთელი მოგება სახელმწიფოსთვის გადაეცა და თვითონ წარმოების რისკი უსასყიდლოთ ეზიდა. ასეთი ფინანსიური რეფორმა შრომის მინისტრის სკობელევის შემოქმედების ნაყოფია. ძნელი წარმოსადგენია როგორ განხორციელდებოდა ასეთი განზრახვა, რომ ახალს პროექტს არ ამოეყო თავი. ბურჟუაზიას მხოლოდ მოგება კი არ უნდა მიეტანა რევოლიუციის სამსხვერპლოზე, არამედ მთელი თავისი ქონება. ასეთი ფინანსიური რეფორმის ავტორი ბოლშევიკები და ანარქისტები არიან. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ არც ერთი ახალი მთავრობის განკარგულება არ ჰპოულობს ისეთს თანაგრძნობას, განსაკუთრებით ზოგიერთს კუთხეში, როგორც ეს ფაბრიკა-ქარხნების, სახლების და კაპიტალის ჩამორთმევა დანაწილების ლოზუნგი. ამ მიზანს ბოლოს და ბოლოს სკობელევის ფინანსიური რეფორმაც ემსახურებოდა, ხოლო ასე ვთქვათ ინგლისური წესით. ინგლისში კერძო საკუთრების პრინციპი მეტად მტკიცეა და ისინიც კი ვინც მას ებრძვიან, რომლესაც ვინმესთვის იძულებით ქონების ჩამორთმევას სცდილობენ, მოითხოვენ, რომ ამ ქონებას ისეთი გადასახადი დაედვას, რომ მთელი მოგება შთანთქას და პატრონმა თავისი საკუთრება მიატოვოს. სკობელევი მენშევიკია და ამას იქნებ მოუცდიდა, ხოლო მომენტი, როგორც გვარწმუნებენ სულ სხვა სისწრაფეს მოითხოვს და ეხლა უთუოდ იმარჯვებს ბოლშევიკური ტაქტიკა, რომ მდიდრებს ყოველივე ქონება დაუყოვნებლივ ჩამოერთვას. ბოლშევიკურ ტაქტიკას, რომ რუსეთში ნიადაგი აქვს, ისიც მოწმობს, რომ ალაგ-ალაგ მას ხალხი თავისითაც აწარმოებს. კრონშტატის და ცარიცინის მაგალითები თითქოს ზევიდან ხდება. სამაგიეროთ ზოგიერთს მივარდნილს კუთხეებში ჯარისკაცები და მუშები თავისით მიდიან იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა სხვისი ქონების დაპატრონება. ალაგ-ალაგ სკობელევის ფინანსიურ ზომასაც მიმართავენ, ხოლო გადაჭარბებულად და არა ხაზინის, არამედ თავის სასარგებლოდ. მუშები ალაგ-ალაგ 20—25 მანეთს ღებულობენ დღიურათ, მაგრამ ზოგიერთს წარმოებაში უკვე 40—50 მანეთს მოითხოვენ, და წარმოებისათვის ეს უფრო სამძიმოა, ვინემ სკობელევის განზრახვები.

ბევრს ჰგონია, რომ ასეთი ვითარება მეტად ხელსაყრელია მუშებისათვის. მრავალი მაგალითები კი გვარწმუნებს, რომ ასეთს ნაბიჯებს ორიოდე კვირის განმავლობაში ზედმეტი ქირის მიღება მოსდევს, მაგრამ შემდგომ ამისა წარმოებების შეჩერება, საერთო ეკონომიური კრიზისი, უმუშევრობა და სიმშილობა. მეურნეობის თუ მრეწველობის ყოველს დარგში წარმოება შემცირდა და მისი ნაყოფიერება დღითი დღე კლებულობს. ამავე დროს წარმოების ხარჯები იზრდება შეუჩერებლივ და განუსაზღვრელად. ასევეა სახელმწიფოებრივ მეურნეობაში. ხაზინის ხარჯები იზრდება დღითი დღე. ძველ გუბერნატორისა და პოლიცმეისტრის ნაცვლად ეხლა სამ-სამი კომისარის დანიშვნა შეიქმნა საჭირო და რასაკვირველია, ხაზინის რევოლიუციური მმართველობა უფრო ძვირად უჯდება, ვინემ ძველი წყობილება.

ეს კიდევ არაფერი, რომ ხაზინის შემოსავალი მცირედ მაინც შემცირებულიყო და სრულიად არ მოსპობილიყო. ფინანსთა მინისტრი გულახდილად ამჟღავნებს, რომ რუსეთის ხაზინის ერთად-ერთი სახსარია დაზგა, რომელიც ქაღალდის ფულებს ჰბეჭდავს. რუსეთში ყოველგვარი საქონელი საგრძნობლად გაძვირდა ამ რევოლიუციურ ხუთიოდე თვის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში უცხოეთში რუსეთის ფულის ფასი დაეცა იმდენადვე, რამდენად სამი წლის ომის განმავლობაში. წინასწარმეტყველებად არ უნდა ჩაითვალოს, რომ ასეთს ვითარებას თან მოსდევს საერთო ეკონომიური არევ-დარევა, სახელმწიფოს დაღარიბება, სიმშილი და მოქალაქობრივი ომი. ასეთი აჩრდილი კი დღეს არა მარტო ბურჟუაზიას აშინებს. მისი მეთაურების—გუჩკოვის, კონოვალოვის, თუ შინგარიოვის გოდება ყველასთვის ცნობილია. რევოლიუციის პირველ დღეებში აღებული კილო და ტაქტი დღეს რევოლიუციის სოციალისტურ მეთაურებმაც საგრძნობლად გამოიცვალეს. სამხედრო მინისტრი კერენსკი ამას წინეთ ეუბნებოდა მოსკოვის საზოგადოებას—მე მისაყვედურებენ, რომ მეოცნებე ვარ. მე ამას არ უარვყოფ, დაე დავრჩე მეოცნებეთო. დღეს რუსეთის ეკონომიურ გასაჭირს ამ მინისტრის ოცნების ფრთეიბიც კი ეხება. კერენსკი ამ უკანასკნელ ჟამს რუსეთის ეკონომიურს არევ-დარევაზე მეტს ლაპარაკობს, ვინემ ომსა და ტყვია-ზარბაზნებზე. კერენსკის ბევრი ნაპოლეონ ბონაპარტეს ამზგავსებს. ნაპოლეონის ოცნებებზე ვერას მოგახსენებთ და ქონებრივ სადსარს, როგორც გადმოგვცემენ ის დიდს მნიშვნელობას ანიჭებდა. გამარჯვებისთვის სამი რამ არის საჭიროვო, იტყოდა თურმე ნაპოლეონი—ფული, ფული და კიდევ ფულიო. დღეს არც სკობელევია წინანდებურად გატაცებული ბურჟუაზიის ძღვევის სურვილით. ის ეხლა არა მარტო მწარმოებელის მოგების კონფისკაციას ჰფიქრობს, არამედ სამუშაო ქირის განსაზღვრასაც.

რევოლიუციის გაღრმავებამ, რომელსაც ყველა ასე ეტრფოდა, რუსეთს მოქალაქობრივი ომისა და სიმშილის შავი აჩრდილი მოავლინა და დღეს მას არა მარტო ბურჟუაზიული წრეები, არამედ თვით ამ „გაღრმავების“ მოტრფიალენიც უფრთხიან. რუსეთის რევოლიუციის დღევანდელი მებაირაღტრენი იმ ნეპტუნს მოგვაგონებენ, რომელმაც ქვესკნელიდან ავი ფერიები გამოიძახა და მათი უკანვე დაბრუნება კი ვერ შესძლო.

თავიდანვე გაუგებარი იყო რევოლიუციის გაღრმავებისა და მისი ლოღიკურ დასკვნამდე მიყვანის ლოზუნგი. რუსეთის რევოლიუცია მეტად უმტკივნეულოდ სრულდებოდა. ძველი რეჟიმი დაემხო მთელს რუსეთში ერთი დღის განმავლობაში და ამ ძველ წყობილების მოსარჩლე და პირისუფალი დღემდის არავინ სჩანს. დაუყოვნებლივ ახალი თავისუფალი პოლიტიკური წყობილების აღმშენებლობის დაწყებისათვის საერთო აღფრთოვანება საუკეთესო ნიადაგს წარმოადგენდა. ამის ნაცვლად რუსეთის რევოლიუციის „გაღრმავება“ დაიწყო, ე. ი. შრომის და კაპიტალის, საკუთრებისა და სიმდიდრის ინტერესების მოგვარება. ბევრს დღესაც იმედი აქვს, რომ რუსეთის რევოლიუცია შესძლებს იმის დამყარებას, რაც ვერ შესძლო ვერც ერთმა რევოლიუციამ.

რევოლიუციის „გაღრმავება და მისი ლოღიკური დასკვნის“ ძიება რომ, შესაძლოა მეტად სახიფათო გამოდგეს, ამას დღეს ბევრი გრძნობს. რევოლიუციები სხვა და სხვა გვარი ყოფილა და დასკვნებიც მათ ერთნაირი არ ჰქონიათ. ერთი რევოლიუციის დასკვნა, რომ მონარქიის დამხობა იყო, მეორეს მისი აღდგენა მოჰყოლია. ერთმა რევოლიუციამ რომ მირაბო და ნაპოლეონი დაბადა, ვინ იცის მეორემ სტენკა რაზინი ან პუგაჩოვი წარმოშვას.

ყაზახთა დელეგატებმა უკვე მიაშურეს პეტრეს ქალაქს ვოლგის და დონის ნაპირებიდან და არავინ იცის როგორ ლოღიკურ დასკვნას უმზადებენ ისინი რუსეთის რევოლიუციას, იქნებ ეს იყოს პირველი ჰანგი იმ ყაზახური სიმღერისა, რომელიც დიდი ხანია არ სმენია „ოლგა-მატუშკის“ ნაპირებს.

ა. ასათიანი

# თბილისის არჩევნები

თბილისის საქალაქო არჩევნების საკითხმა უკვე განვლო პირველი ხანა, როდესაც სჯა-ბაასი და კამათი მომწყვდეული იყო საერთო პრინციპიალ ფარგლებში და მისდა მიხედვით საკითხს იძლეოდა უმთავრესად აკადემიური ხასიათი. ჩვენს თვალ-წინ იშლება პრაქტიკული მოქმედების პერსპექტივები. ვიდრე გამოვარკვევდეთ ჩვენს პოზიციას და იმ მოვალეობას, რომელიც თვითეულ ჩვენგანს აწევს ამ პროცესის მიმდინარეობაში, მოკლედ გავიხსენოთ კიდევ არჩევნების ტეხნიკა, რათა გაუგებრობით და უცოდინარობით ჩვენმა თანამოაზრე ამომრჩევლებმა უნებლიეთ არ დაკარგონ საარჩევნო ხმა: დღეს ქალაქის თვითმართველობა გზავნის არსებულ თორმეტ საუბნო ნაწილში (კომისარიატში) და პარტიების მთავარ კომიტეტებში დამზადებულ საარჩევნო სიებს, რომელნიც შეიცავს 118,000 თბილისის მცხოვრებს განურჩევლად სქესისა, ვისაც ახალმა კანონმა არგუნა საარჩევნო უფლება. ამ რიცხვში არ არის მოყვანილი თბილისში მყოფი ჯარი, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა უდრის დაახლოვებით 50,000. ამომრჩეველ ჯარის კაცთა შესახებ ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით, ვინაიდგან მისი ეროვნული შემადგენლობა იმგვარია, რომ ჩვენი პარტიისათვის მათ შორის საეჭვოა, რომ მოიძებნოს ხმა; ჩვენ შევიტყეთ, რომ არჩევნებამდე ჯარის უმრავლესობა, შეძლება, თბილისიდან გაიყვანონ. რა უნდა აინტერესებდეს ამ დღეებში მოქალაქეს უპირველეს ყოვლისა? ჯერ-ჯერობით ის, რომ მან უნდა გამოარკვიოს, შეტანილია იგი საარჩევნო სიაში, თუ არა: ამისთვის მას ეძლევა დღეიდან—23 თიბათვიდან—ხუთი დღე, რომლის განმავლობაში მან უნდა იზრუნოს შეტანინოს თავისი თავი სიაში. 2 ივლისამდე ამგვარად შევსებული სიები უბრუნდება თვითმართველობას შესაფერ რეზოლუციისათვის; ამავე თვის 2-დამ 5-დე ამომრჩევლებს ეძლევათ საშუალება განასაჩივრონ კიდევ სიები თბილისის საოლქო სასამართლოს პირველ სამოქალაქო განყოფილებაში, რომელიც მოვალეა 5—10 განიხილოს საჩივრები. ამ გვარ პროცედურაში გატარებული სიები გამოქვეყნდება უკანასკნელად 12 მკათათვეს, და ამ რიცხვიდან 20-დის ქალაქს თვითმართველობაში პარტიები და აგრეთვე სხვა და სხვა ჯგუფები მიიტანენ სიებს თავის კანდიდატებით. უკანასკნელი განსაჩივრება შედგენილ და გამოქვეყნებულ სიების შეიძლება სენატში ერთი თვის განმავლობაში, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ სენატში განსაჩივრება სრულიად არ აჩერებს საარჩევნო კომპანიას. ჩვენი თანამოაზრე ამომრჩევლები ყოველგვარ დაწვრილებით ცნობებს მიიღებენ ყოველ დღე საუბნო პარტიის კომიტეტებში, მთავარ კომიტეტებში (ფრეილინის ქუჩა № 12), „საქართველოს“ რედაქციაში (მოსკოვის ქუჩა № 4) და ნაფიც ვექილ იოსებ მაჭავარიანის ბინაზე (ოლღას ქუჩა № 26); უკანასკნელს მთავარ კომიტეტის მიერ დავალებული აქვს საარჩევნო კომპანიის ხელმძღვანელობა, მისივე თავმჯდომარეობით შემდგარია საგანგებო კომისია, რომელიც დახმარებას გაუწევს პარტიის ამომრჩევლებს და საზოგადოთ განაგებს არჩევნების საკითხებს. არჩევნების დღე თბილისში დანიშნულია 30 ივლისს. ამ დღეს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ამომრჩეველი, თუ იგი გამსჭვალულია სურვილით, რომ ქალაქის თვითმართველობაში მოჰყვნენ ჩვენი პარტიის წარმომადგენელნი, ვალდებულია გამოცხადდეს თბილისში საპატიო სამოქალაქო უფლების განსახორციელებლად.

არსებული ქალაქის შემადგენლობა, სოლოლაკის პლუტოკრატიის „მოღვაწეობა“, მათი ყოველი ნაბიჯი ქალაქს რთულ ცხოვრების წინ გასძღოლად, მგონია, არ შეესაბამებოდა საერთო სურვილებს და კერძოთ ჩვენი ერის იდეალებს. საქართველოს დედაქალაქის ინტერესი მოითხოვს დაბეჯითებით იმ გვარ თვითმართველობის მოწყობას, რომელსაც თვით საქმის ვითარება და პოლიტიკური მდგომარეობა უკარნახებს ყოველი თვისი კულტურული თუ სოციალ-ეკონომიური აქტი, დაექვემდებაროს ერის უზენაეს ნების-ყოფას. ზოგს მეტად პრიმიტიულად ესმის ქალაქის მართველობის მოღვაწეობა, მაგალითად, „ერთობა“ აფარებელ წერილებში არჩევნების შესახებ მხოლოდ იმას მოუწოდებს ამხანაგებს, რომ მიემხრონ ინტერნაციონალს და ხმა მისცენ განსაკუთრებით დემოკრატიის, სახელდობრ, მუშათა კლასის დამცველთ. ეჭვი არ არის, დემოკრატიის დაცვას უძლიერესი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიპყრობილი, რადგანაც დემოკრატია უფრო დაინტერესებულია ქალაქს რიგიანად მოწყობაში, მის ჰიგიენურ და სანიტარულ საკითხის ნორმალ კალაპოტის ჩაყენებაში, მაგრამ ჩვენ ქალაქის თვითმართველობის მოქმედებას და მისი როლის სახელმწიფო ცხოვრებაში ამ ვიწრო კლასიურ შეხედულობით ვერ განვსაზღვრავთ! თბილისის თვითმართველობის ხმოსნებს ინტერნაციონალურ საკითხების გარეშე, საერთაშორისო სოციალისტურ პროპაგანდის გარდა უნდა ახსოვდეს საკუთარი ერის ბედ-იღბალი. არ ივარგებს ინტერნაციონალური მოღვაწეობა თუ იგი არ იქნება შედეგი ერის კულტურის ამონადუღისა, თუ მის ნიადაგს არ დაედება ეროვნული ქვაკუთხედი! ერის ინტერესი ზეკლასიურია, ეროვნული მისწრაფებანი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაგვირგვინდება უჭირველად, მხოლოდ მაშინ გვექნება ჩვენ უფლება ვაღიაროთ, რომ ვიღვწით ერისათვის, უკეთუ ერის, როგორც კომპაქტურ ერთეულის, სამკვიდრებელს დავიცავთ და ერის ისტორიულ სახეს შეურყვნელად გავატარებთ ხალხთა აზვირთებულ ზღვაში.

რუსეთის უდიდესმა რევოლიუციამ გადმოისროლა ეს სასიხარულო ლოზუნგი, რომელიც უმეტესად მისადგება დაჩაგრულ-დაბეჩავებულ ერთათვის. ქართველი ხალხი ანგარიშს გაუწევს ერთა აზმაურებას, იგი გაბედულად და კატეგორიულად წამოაყენებს ეროვნულ მოთხოვნილებას, რომ მომავალმა ტრიბუნალმა—ერთა დიდებულმა მანიფესტაციამ—მიუსაჯოს მას ჩვეული საპატიო ადგილი კულტურულ ხალხთა შორის.

ეროვნულ შემოქმედების გაღვიძებას და განცხოველებას უნდა შევუდგეთ დაუყოვნებლივ! თბილისის ქალაქის არჩევნებში მონაწილე ქართველი პირველ ყოვლისა ამ მოსაზრებიდან უნდა გამოვიდეს, როდესაც განახორციელებს მოქალაქობრივ უფლებას. მისი ხმა უნდა ერგოს იმ სიას, რომლის კანდიდატები იზრუნებენ თბილისის ქართული სახის განმტკიცებისათვის.

რ. ინგალო.

# პრესა

**„დაშნაკცუტუნ“-ები და სოციალიზმი.**

სომეხთა „დაშნაკცუტუნ“-ების შესახებ „Тиф. Лист.“ სწერს:

გაზეთ „ჰორიზონ“-მა, რევოლუციისა და იმის გამო რომ „დაშნაკცუტუნ“-თა პარტიამ სოციალიზმი აღიარა, თავისი თავი სოციალისტურ ორგანოდ გამოაცხადა. როგორც ვიცით „დაშნაკცუტუნ“-თა პარტია ამ უკანასკნელ წლებში ვიწრო ნაციონალურ საკითხებით იყო დაინტერესებული. იგი დიდ მონაწილეობას იღებდა კათალიკოსის ამორჩევაში, იგივე განაგებდა როგორც სამრევლო სკოლებს ისე სემინარიებს. მაგრამ ეხლა კი, როგორც 1904 წელში პარტიამ ისევ სოციალისტური პლატფორმა მოისურვა. გვეგონა, რომ იდეურ სოციალისტისთვის სულ ერთი იყო თუ სად იმოქმედებდა იგი თბილისს თუ მოსკოვში, გვეგონა რომ ოსმალეთა სომხეთის ნანგრევებზე პარტია სამოქმედო ასპარეზს ვერ მოიპოვებდა, მაგრამ აი რას ვკითხულობთ პარტია „ორიზონი“-ს ორგანოში: „ოსმალეთა სომხეთში პარტიას უარყოფს როგორც თავის ტაქტიკას, ისე სოციალისტურ მოქმედებას. კლასობრივ ბრძოლის მაგიერ იქ კლასობრივი სოლიდარობა უნდა იქმნას განმტკიცებული. ამან არ უნდა შეაკრთოს ჩვენი მეგობრები, რადგან, ვიმეორებთ რომ თანამედროვე ისტორიული მომენტი ხალხს განსაკუთრებულ მოვალეობას აკისრებსო“.

ისტორიული მომენტი, რომელზედაც პარტია მიგვითითებს, ჩვენის აზრით, ხალხს, უპირველეს ყოვლისა, იმას ავალებს, რომ მუდამ გულახდილნი იყვნენ: მოდური და იაფფასიანი გამოსვლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ იმ ორგანოსი, რომლის არსებობა მთლად „ბურჟუებზე“-ა დამოკიდებული უცნაურად უნდა ჩაითვალოს.

# ომი და ზავი

## დეპეშები

**მთავარ ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 21. ოფიციალი. კოველის მიმართულებით საარტილერიო სროლაა. ზოლოჩევსკის მიმართულებით მზვერავებმა გერმანელთა 11 ტყვიისმფრქვეველი ჩაიგდეს ხელთ. მიშკის რაიონში შემოჭრილი გერმანელთა ჯავშნოსანი ავტომობილი უკუ ვაქციეთ. ბრიჟანის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ბრძოლა გაცხოველდა. ს. მეჩიმუფთან მტრის კონტრ-იერიში მოვიგერიეთ. სულ 18 და 19 თიბათვეში დავატყვევეთ 300 აფიცერი, 18,000 ჯარისკაცი, წამოვიღეთ 29 ზარბაზანი და 33 ტყვიისმფრქვეველი.

**კავკასიის ასპარეზი.** ჩვენმა ჯარმა ფინჯიანი აიღო.

**შავი ზღვა.** მტრის მიერ ჩაწყობილ ნაღმის მიერ ჩვენი ძველი ტიპის ჯავშნოსანი დაიღუპა.

**ბელგიის ბანაკის ცნობა**

**ჰავრი.** თიბათვის 16. ოფიციალი. წუხელის იზერის ჩრდილოეთით მე-16 ე საფარისკენ ჩვენ პოზიციებზე მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ ჩვენმა ჯარმა მარჯვედ მოიგერია. მთელი დღის განმავლობაში არტილერიის ძლიერი ბრძოლა იყო. დიქსმიუდეს მახლობლად ხელით სასროლ ყუმბარებით ბრძოლა იყო.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა**

**პარიზი.** თიბათვის 17. დღის ოფიციალი. სერნის ჩრდილო-აღმოსავლეთით გუშინ ღამეს გერმანელები შემოტევას განახლებას შეეცადნენ. ლაგოვილზე მძლავრმა შემოტევამ ზარალი მოგვიტანა. ცხარე ბრძოლის დროს ჩვენი სანგრები ყუმბარის სროლით მთლად შემუსრეს. ავაკურისა და მორტომის რაიონში მეტის მეტად გაცხარებული საარტილერიო დუელი იყო. გუშინ საღამოთი სიმაღლე „304“ დასავლეთით მტრისგან წართმეულ სანგრების ერთი ნაწილი დავიბრუნეთ. იმავე დროს მორტომის დასავლეთით მძლავრად შემოგვიტიეს. ჩვენ ჯარისკაცებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს. ჩვენმა საარტილერიო ცეცხლმა დიდი ზარალი მიაყენა მტერს. მიუხედავად იმისა, რომ მტერი ჩვენმა ჯარის პირველ წყებაში შემოიჭრა, ჩვენ კონტრ-იერიშით უკან დახევა ვაიძულეთ, მხოლოდ მორტომის მთის დასავლეთ კალთებზე და მტერმა შესძლო გამაგრება. წამოვიყვანეთ 4 სხვა და სხვა პოლკების 80 ტყვე. შამპანში ნავარენის დასავლეთით მტერმა შემოგვიტია, მაგრამ უშედეგოდ.

**თავდასხმა ვენეციაზე.**

**რომი.** თიბათვის 18. სტეფანის საგენტო იუწყება, რომ თიბათვის 17 მტრის ჰაეროპლანთა რაზმი ვენეციას დაესხა. მიუხედავად იმისა, რომ მტერმა ცეცხლის გაჩენი ყუმბარები და ასაფეთქებელი ნივთიერება ჩამოჰყარა ვენეციასა და მურანოში—კაცის მსხვერპლი არ ყოფილა. თიბათვის 18-ს მაგიერის გადასახდელად ჩვენი ჰიდროპლანები ტრიესტის სამრეწველო ოლქზე იერიში მიიტანეს. მიუხედავად ძლიერი ქარისა და მტრის ბატარეის ცეცხლისა ჰიდროპლანები უვნებლად დაბრუნდნენ თავ-თავიანთ ალაგებს.

**„კლებერტ“-ის დაღუპვა.**

**პარიზი.** თიბათვის 16 (დაგვიანებულია) ბრესტისკენ მომავალი ჯავშნოსანი „კლებერტი“ ნაღმს წააწყდა და ჩაიძირა. უკვალოდ დაიკარგა 36 კაცი; მათში 3 აფიცერი.

**ამერიკელთ 200 ახალი აფიცერი.**

**ლონდონი.** თიბათვის 16 (დაგვიანებულია). ნიუ-იორკიდან იუწყებიან, რომ საზღვაო აკადემიამ ერთი წლით ადრე კურსის დამთავრებამდე, 200 მოწაფეს მისცა ოფიცრობა. ეს ოფიცრები შეერთებულ შტატების ფლოტში იმსახურებენ.

**ორ მილიარდიანი სამხედრო სესხი.**

**ლონდონი.** თიბათვის 16 (დაგვიანებულია). კონგრესმა ორმილიარდიანი სამხედრო სესხის გამოცემა დაადგინა.

**ლლოიდ ჯორჯის სიტყვა.**

**ლონდონი.** თიბათვის 16. ლლოიდ ჯორჯმა გლაზგოში სიტყვა წარმოსთქვა. სხვათა შორის მან სთქვა, რომ ბელგია უნდა ბელგიელებს დაუბრუნდეს, ხოლო მესოპოტამია მომავალში ვერ დარჩება ოსმალეთის ტირანიის ცეცხლში ისე, როგორც სომხეთი. გერმანელთა ახალშენები ისე უნდა მოეწყოს, როგორც მცხოვრებლებს ჰსურთ. ლლოიდ ჯორჯმა რუსეთი დიდის ქებით და აღტაცებით მოიხსენია.

# რევოლუცია

## დეპეშები

**ყაზახთა ყრილობა**

**ნოვოჩერკასკი.** თიბათვის 17. (დაგვიანებულია) დღეს, ატამანის არჩევაზედ, საარჩევნო დარბაზი ხალხით გაიჭედა. ამბობენ აღმაფრთოვანებელ სიტყვებს. ამოირჩიეს: დონის ლაშქრის ატამანად—ლუცკის გმირი, გენ. კალედინი, მის თანაშემწედ პეტროგრადის უნივერსიტეტ დამთავრებული კამენის გიმნაზიის დირექტორი—მოგაევსკი; უფროსებად: სალაშქრო შტაბისა—პოლკოვნიკი რაკონცევი და დონის არტილერიისა—გენ. ჰსტახოვი, განთქმული და სახელ მოხვეჭილი გმირი ავსტრიელებთან ბრძოლაში. კალედინმა და რაკონცევმა საგენერალო შტაბის აკადემია გაათავეს. საერთოდ კი ყველა ამორჩეულ პირთ დიდი პოპულიარობა აქვთ ადგილობრივ საზოგადოებრივ წრეებში. შემდეგ მოედანზე სადღესასწაულო ლოცვა გამართეს. დღესასწაულის დროს უკრავდა ორკესტრი და ჰქუხდა არტილერია. კალედინს მიულოცეს სხვა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლებმა. ყაზახის ქალმა ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილმა კალედინს [illegible] თაიგული მიართვა. თითქმის მთელი დღე მსჯელობდენ, თუ როგორ უნდა მოეწყოს ყაზახთა მიერ სამხედრო ბეგარის საქმე. დღემდე ყაზახობა ორჯელ მეტი გაწვეულია რიცხვით—ომში, ვიდრე რუსეთის შუაგულ ადგილებიდან. ამისთვის გადაწყვეტილია ეს კანონი შეიცვალოს. ამიერიდან ყაზახებიც სხვებივით მოიხდიან სამხედრო ბეგარას.

**მუშა-ძალის რეგისტრაცია**

**პეტროგრადი.** თიბათვის 17 (დაგვიანებულია) დროებით მთავრობამ დაადგინა დაავალოს სამმართველო დაწესებულებებს და უწყებათ, რომ მუშა ხელის საჭიროებაზე ცნობები შრომის მინისტრს წარუდგინონ ხოლმე. აგრეთვე იმ უწყებათ და სამმართველო დაწესებულებათ, რომელნიც მუშათა სამხედრო კომანდებს, სამხედრო ტყვეობის, ჩინელების, და სხვა უცხოელების მომუშავე რაზმებს განაგებენ ევალებათ მომუშავე ძალების შესახებ ცნობები მიაწოდონ მთავრობას.

**სატუსაღოთა კომიტეტების დაარსება.**

**კიევი.** თიბათვის 18. დაიწყო სატუსაღოთა დაწესებულებათა დელეგატების ყრილობა. მიიღეს რამდენიმე რეზოლიუცია. მათ შორის სატუსაღოების კომიტეტების დაფუძნების შესახებ.

**დეპუტატთა საბჭოების ცენტრალი ორგანო.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 17. (დაგვიანებულია). დეპუტატთა საბჭოების ყრილობამ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტი ცენტრალ ორგანოდ დაამტკიცა. მისი დადგენილება ყველა მუშ. და ჯარ. დეპუტ. საჭიროებისათვის აუცილებელი უნდა იყოს.

# გაზეთებიდან

**პეტროგრადის ბოლშევიკები**

როგორც ვიცით თიბათვის 10-სთვის ბოლშევიკების მიერ განზრახული დემონსტრაცია პეტროგრადში ვერ მოხდა. ამის გამო „რუს. ვოლია“ სწერს: ჩვენ წინ „პრავდის“ ორი ერთი და იგივე ნომერია. (№ 18. თიბათვის 23, ახალი სტილით). ერთ მათგანში რომელიც როგორც სჩანს წინა საღამოთ დაბეჭდილია, პირველ გვერდზე სადემონსტრაციო მოწოდებაა დაბეჭდილი. მოწოდება მუშათა და ჯარს მიჰმართავს და ასეთი ლოზუნგებით თავდება:

ძირს მეფის სათათბირო!

ძირს სახელმწიფო საბჭო!

ძირს ათი მინისტრ-კაპიტალისტი!

მთელი სახელმწიფო ძალა უფლება სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს!

„ჯარის კაცთა უფლებების დეკლარაციის“ გადაშინჯვა!

„მატროსების და ჯარის კაცთა შესახებ „ბრძანების“ გაუქმება!

დროა ამას ბოლო მოეღოს! დაე, დეპუტატთა საბჭომ ზავის პირობები გამოაქვეყნოს!

არც ვილჰელმთან სეპერატიული ზავი და არც ფრანგ-ინგლისელ კაპიტალისტებთან ფარული ხელშეკრულებანი!

პური, ზავი, თავისუფლება! პროვაკაციონურ მოწოდებას ბოლშევიკების ორგანიზაციები და რედაქციები აწერენ ხელს.

სხვათა შორის სადემონსტრაციოდ უნდა გამოსულიყვნენ ჯარის შემდეგი ნაწილები: 1) ჯავშნოსანი დივიზიონი, 2) ტყვიის მფრქვეველის 1 პოლკი, 3) პავლოვის პოლკი, 4) მოსკოვის პოლკი, 5) გრენადერთა პოლკი, 6) პირველი სათადარიგო პოლკი, 7) მესამე ნაციონალური პოლკი, 8) საპიორთა მეექვსე პოლკი, 9) პეტროგრადის პოლკი, 10) იზმაილოვის პოლკი 11) სემიონოვის პოლკი, 12) ფინეთის პოლკი და სხვა და სხვა. იქვე დაბეჭდილია ლანგენზიპენის ქარხნის მუშათა რეზოლიუცია, რომელიც სადემონსტრაციოდ იმისთანავე ლოზუნგებით მოუწოდებს ხალხს.

ძირს შეტევა!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის პროლეტართა რევოლიუციას.

მეორე ცალი გაზეთისა, როგორც სჩანს დეპუტატთა საბჭოს დადგენილების შემდეგ დაბეჭდილია. მის პირველ გვერდზე დემონსტრაციის ინიციატორები დეპუტატთა საბჭოს დადგენილების ცხოვრებაში გატარებას მოითხოვენ.

# ეროვნული საკითხი

**უკრაინელთა ჯარი რადას ფიცს აძლევს.**

**უმანი.** თიბათვის 17. გუშინ სამადლობელ ლოცვის და უნივერსალის წაკითხვის შემდეგ—უკრაინელთა შე-

პოლკმა უკრაინულ ცენტრალ რადისაგან ფიცი მიიღო.

**უკრაინული კათედრები.**

**პეტროგრადი.** თიბათვის 17. სახალხო განათლების სამინისტრომ ნება დართო ხარკოვის უნივერსიტეტთან მალოროსიის ფილოლოგიის და უკრაინულ ისტორიის კათედრების გახსნას.

**ჩეხები დამოუკიდებლობას ითხოვენ.**

**ხტოკჰოლმი.** თიბათვის 19. ჩეხთა სოციალურ დელეგაციის დეკლარაცია მოითხოვს დამოუკიდებელ სახელმწიფოს საერთო ფედერატიულ სახელმწიფოს ჩარჩოში.

# რუსეთი და უცხოეთი

**ბარათები პურზე.**

**როსტოვი.** თიბათვის 19. პურზე ბარათების შემოღებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ხალხში.

**მანეთის კურსი.**

**ჰელსინგფორსი.** თიბათვის 19. მანეთის კურსმა 100 მანეთზე 145 მარკამდის დაიწია.

**იტალიის პალატის სხდომების დახურულება.**

**რომი.** თიბათვის 17. დასრულდა დეპუტატთა პალატის დახურული სხდომა. ბოხელმა პატრიოტული სიტყვა წარმოსთქვა, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეეგებნენ.

**საბერძნეთის ახალი მთავრობის მოქმედება.**

**ათენა.** თიბათვის 16. (დაგვიანებული გზაში) პრესაც და ხალხიც დიდის თანაგრძნობით შეეგება ვენიზელოსის კაბინეთს. შემჩნეული ცუდი მოხელენი და მოხელენი თესალიიდან განიდევნებიან.

სახელმწიფო მიწების მიცემას დაჰპირდა ყველა იმ პირთ, რომელნიც კიეროვნულ თავდაცვაში მონაწილეობდნენ.

ამ დღეებში მეცხოვრე აფიცრები თავდაცვის აფიცრებთან შეარიგეს. გარეშე საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა უფროსები დაითხოვეს. კორინთის არხზედ მიწა ჩამოწვა.

# ქრონიკა

## თბილისი.

**წისქვილებისა და ფურნე თორნეების რეკვიზიცია.** თიბათვის 22-ს ქალაქის სასურსათო კომიტეტმა გადასწყვიტა იშუამდგომლოს საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის წინაშე, რომ რეკვიზიციის წესით ჩამოართვას თბილისში 3 ტრონებს წისქვილები, რომლებიც საქალაქო სასურსათო ხორბლის დასაფქვავად სჭირდება, ვინაიდან ჩრდილო კავკასიიდან ფქვილის ნაცვლად მომეტებულ ნაწილად ხორბალი მოვა. კომიტეტმა აგრეთვე გადასწყვიტა რეკვიზიციის წესით ჩამოართვას პატრონებს ფურნეები და თორნეები იმ შემთხვევაში თუ მეპურეები გაიფიცნენ.

**საარჩევნო კრება.** შაბათს, თიბათვის 24-ს, საღამოს 8 საათზე სამეურნეო ბანკში დანიშნულია მე-3 და მე-4 უბნის **ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრთა კრება.** კრებამ უნდა აირჩიოს საქალაქო საარჩევნო კომისია და შეადგინოს იმ პირთა სია, რომელნიც ხმოსნებად გამოდგებიან.

**დაბრუნდნენ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის** თავმჯდომარე გ. ა. ხარლამოვი და წევრი იმავე კომიტეტისა გ. ვ. გუტოპი.

**კლუბების გაჩხრეკა.** თიბათვის 21-ს ღამით ქალაქის მილიციის უფროსმა ივ. კაჩუხაშვილმა და მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს რამდენიმე წევრმა გაჩხრიკეს თბილისის კლუბები და ზოგიერთ მათგანში აღმოაჩინეს ღვინო და ბანქოს აზარტი თამაში. ოქმები შეადგინეს.

**განკარგულება ახლად დატუსაღებულთა შესახებ.** მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭომ დაადგინა: ის ახლად დატუსაღებულნი, რომელთა დატუსაღების შესახებ სამი დღის განმავლობაში შესაფერისი ოქმი არ მიუვა გამომძიებელს, სატუსაღოდან განთავისუფლებულ იქმნასო.

**მუშათა და ჯარის კაცთა საერთო მიტინგი.** სადარაჯო ბათალიონის საროტო კომიტეტების კრებამ მოისმინა რა თბილისის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების დადგენილება იმ მიტინგის მოწვევის შესახებ, რომელიც სადარაჯო ბათალიონის მიერ დანიშნული იყო 21 თიბათვისთვის, დაადგინა: თიბათვის 21-ს მიტინგი არ მოიწვიოს. ამასთანავე ეთხოვოს აღმასრულებელ კომიტეტს მოწვეულ იქმნას მუშების და ჯარისკაცების საერთო მიტინგი არა უგვიანეს თიბათვის 25-სა შემდეგ საკითხებზე სალაპარაკოთ: კერენსკის ბრძანებანი მტერზე თავდასხმის შესახებ, მინდვრების დამუშავება და ჯარისკაცების დასასვენებლად განთავისუფლება.

**წითელი ბაირაღები.** როგორც წინად, ისე ეხლაც რკინის გზებზე წითელი ბაირაღები ნიშანია იმისა, რომ ანუ გზაა გაფუჭებული და ანუ რაიმე გასაფრთხილებელი საქონელი მიაქვთ, ანუ ასეთივე საქონლის დაწყობილი (მაგალ., თოფის წამალი, ყუმბარები და სხვ.). ეხლა გზებზე წითელ ბაირაღებს ხშირად აფრიალებენ, როგორც სარევოლუციო დროშას, ეს ხშირად გაუგებრობას იწვევს და მიმოსვლა ბრკოლდება. ამიტომ ჯარისკაცთა დეპუტატების საოლქო საბჭო თხოულობს, რომ რკინის გზებზე, მატარებლების მოძრაობის დროს სარევოლუციო მიზნით წითელ ბაირაღებს ნუ გამოჰკიდებენ.

**ქართველ ქალთა საზოგადოების დიდუბის განყოფილება** სთხოვს წევრთა და თანამგრძნობელთ მობრძანდნენ კრებაზედ დიდუბის ეკლესიის სკოლაში შაბათს, ამ თიბათვის 24-ში საღამოს 6 საათზედ.

**სახლის პატრონები და მეიჯარენი.** მეიჯარეებმა განცხადება მიართვეს პოლიციის უფროსს ივ. კაჩუხაშვილს, რომელშიაც ამბობენ, რომ სახლის პატრონები არ მოგვირიგდნენ, ჩვენი მოთხოვნილება არ დააკმაყოფილეს, მაგრამ ჩვენ მუშაობას სამი დღის განმავლობაში არ შევწყვეტთ, რათა ქუჩები დაუსუფთავებელი არ დარჩესო, ხოლო შემდეგ კი, თუ ჩვენი მოთხოვნილება არ იქმნა დაკმაყოფილებული, გავიფიცებითო. მილიციის უფროსმა ურჩია მათ გაფიცვა შემდეგისათვის გადასდვან და ჯერ-ჯერობით ეცადონ სახლის პატრონებთან მორიგებას. ამასთანავე მილიციის უფროსი ურჩევს სახლის პატრონებს დაუყოვნებლივ მორიგდნენ მეიჯარეებს; თუ თითონ თავისთავად ამას ვერ მოახერხებენ, დაე გადასწყვიტონ მიანდონ მომრიგებელ კამერას. წინააღმდეგ შემთხვევაში ის, მილიციის უფროსი, გამოსთხოვს ჯარისკაცებისა და მუშათა დეპუტატების საბჭოს ნება მისცეს მას თითონ დაიქირაოს მეიჯარენი სახლის პატრონების ხარჯით.

**ქართველ მასწავლებელთა კრება.** შაბათს, თიბათვის 24 ს, საღამოს 7 საათზე, ქართული გიმნაზიის შენობაში დანიშნულია თბილისის ყველა ტიპის სასწავლებელთა ქართველი მასწავლებლების კრება ცხრა წარმომადგენლის ასარჩევად იმ სამოსწავლებლო საბჭოსთვის, რომელიც არსდება ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტთან. კრებას ჰმართავენ ქართველ მასწავლებელთა კავშირისა და თბილისის გუბერნიის სკოლების მასწავლებელთა კავშირის გამგეობანი. ქართველ მასწავლებლებს სთხოვენ ამ კრებაზე დაესწრონ.

**ჯარისკაცების და მუშების შეერთებული მიტინგი.** კვირას, თიბათვის 25-ს, ნაძალადევში, თავისუფლების მოედანზე, დანიშნულია ჯარისკაცების და მუშების საერთო მიტინგი, რომელმაც რეზოლუციები უნდა გამოიტანოს: 1) კერენსკის ბრძანების გამო მტერზე იერიშის მიტანის შესახებ და 2) სალდათების დათხოვნის შესახებ სოფლებში სამუშაოდ.

## კავკასია

**სამუშაოდ დათხოვნილ ჯარისკაცების შესახებ.** ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭომ გადასწყვიტა, რომ სოფლებში სამუშაოზე დათხოვნილი ჯარისკაცები (40-სა და მეტის წლოვანებისა) ეხლავე დაბრუნდნენ თავთავიანთ ნაწილებში, რათა შემდეგ სხვებმაც ისარგებლონ თავისუფლებით.

**ხულიგნების თარეში.** თიბათვის 10-ს ტრაპიზონში სალდათის ტანისამოსში გახვეულ ქართველ ხულიგნებს დაურბევიათ იქაური კლუბი ქართველ სოც.-ფედერალისტებისა.

## საქართველო

**პროვოკატორი.** გაზ. „დენის" ცნობით, ოდესაში აღმოუჩენიათ პროვოკატორი არტილერიის ოფიცერი გიორგი ცაგარელი, ქართველი პოეტი-ფუტურისტი, განათლებით ფილოლოგი. მეტ სახელად „კაზანსკას" ეძახდნენ. „მუშაობდა" თვეში 30 მან.

**საქართველოს ეკლესიებისა და მონასტრების ბედი.** ამიერ კავკასიის კომისარიატმა დაადგინა სთხოვოს სინოდის ობერ-პროკურორს დააჩქაროს ეკლესიებისა და მონასტრების განაწილება ქართველებსა და რუსებს შორის, ვინაიდან, კომიტეტის აზრით, ამ საკითხის მოუწესრიგებლობის გამო ხშირად უსიამოვნება ხდება ხოლმე ქართველებსა და რუსებს შორის.

**საექიმო მოღვაწეთა საგუბერნიო ყრილობა.** მკათათვის 15-ს თბილისში კავკ. სამედიცინო საზოგადოების შენობაში მოხდება თბილისის გუბერნიის ექიმთა, ფერშალთა, ბებია ქალთა და ფარმაცევტთა ყრილობა—განსახილველია.

1) პოლიტიკური მომენტი და მასთან დამოკიდებულობა.

2) საადმინისტრაციო საკითხი: გუბერნიის საექიმო უწყების რეორგანიზაცია კოლეგიალურ საფუძველზე.

3) სასოფლო საექიმო დახმარების საქმის მოწყობა მთელს გუბერნიაში:

ამავე საექიმო დახმარების დეცენტრალიზაცია.

4) ყოფა-ცხოვრების საკითხი:

ა) უფლებრივი მდგომარეობა საექიმო ნაწილის საშუალო თანამდებობების პირთა:

რეორგანიზაცია არსებულ საფერშლო და საბებიო სკოლებისა.

ბ) ნივთიერი მდგომარეობა ყველა საექიმო თანამდებობის აღმასრულებელთა.

გ) უფლებრივი მდგომარეობა ფარმაცევტებისა.

დ) საპროფესიო კავშირების მოწყობა მთელს გუბერნიაში.

ე) საპროფესიო სასამართლო.

5) სააფთიაქო საქმის მოწესრიგება მთელს გუბერნიაში.

6) ის საკითხები, რომელნიც აღძრულ იქმნებიან თვით ყრილობის დროს. ორგანიზ. ბიურო მოთავსებულია: გოგოლის ქუჩაზე, № 64, ბინა 12.

# ქართველნო მოქალაქენო! ემზადეთ საქალაქო არჩევნებისათვის

## საქალაქო არჩევნები

თბილისის ახალი საბჭოს ხმოსანთა არჩევნები მოხდება 30 ივნისს. საარჩევნო სიების განსახილველ პირველ დღეთ ქალაქის საარჩევნო კომიტეტმა 23 ივლისი დანიშნა. ამის შემდეგ საარჩევნო სიები 5 დღის განმავლობაში გამოკიდებული იქნება ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში—12 ალაგას, საარჩევნო ბიუროთა სადგომებში, სადაც შესაძლებელი იქნება მათი გადათვალიერება, თუ ვინმე გამოტოვებული იქნება, უნდა განაცხადოს პირადათ ან წერილობით. ხმოსნების კანდიდატების სია უნდა წარდგენილ იქნას 12-დან 20 ივლისამდე. სიები უნდა გადაეცეს ქალაქის თავს. საარჩევნო ბარათები მცხოვრებთ დაურიგდებათ საგანგებოთ მიწვეულ ფოსტალიონთა ხელით, რასაც კანტროლს გაუწევენ საუბნო კომიტეტების წევრები.

**ერ. დემ. სტუდენტთა საყურადღებოდ.** საქ. ერ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი სთხოვს თანამოაზრე სტუდენტებს ვისაც საარჩევნო მუშაობაში მონაწილეობა ჰსურს, მიმართონ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ნაფიც ვექილს იოსებ მაჭავარიანს (ოლღას ქუჩა, № 26).

# რეზოლიუცია

**სოციალ-დემოკრატიულ პარტიის საოლქო ყრილობის დადგენილება ეროვნულ საკითხზედ.**

მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერესები მოითხოვს ისეთი უფლებრივი ნორმების შექმნას, რომლებიც უზრუნველყოფს მათ თავისუფალ კულტურულ განვითარებას.

ეს ნორმები უნდა აშენდეს ხალხის უფლებამოსილებისა და საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრების ყველა დარგებში ხალხის თვითმართველობის გატარების მტკიცე საფუძველზე. სახელმწიფოს სრული დემოკრატიზაცია წარმოადგენს ძირითად მოთხოვნილებას რუსეთის მთელი დემოკრატიისა, რამაც რუსეთის ისტორიაში პირველათ შექმნა ნაციონალური საკითხის სახელმწიფოს საზომით გადაჭრის პოლიტიკური შესაძლებლობა.

ასეთ საერთო პოლიტიკურ წყობილების ფარგალში ეროვნული კულტურის განვითარება შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქმნას რუსეთში მოსახლე თითოეულ ეროვნებისათვის ფართო შინაურ თვითმართველობის მინიჭებით.

ტერიტორიალურ თვითმართველობის საზღვრები მყარდება ამა თუ იმ ეროვნების რეალურ მოსახლეობის პრინციპის მიხედვით, ამასთანავე მიღებულ უნდა იქნას მხედველობაში ყოფა-ცხოვრება და სამეურნეო მდგომარეობა. ეროვნულ საზღვრების შესაცვლელათ უნდა მოხდეს იმ ადგილების რეფერენდუმი, რომელთა საზღვრების გამორკვევა იწვევს უთანხმოებას. უმცირესობის ეროვნულ კულტურული თვითმართველობის უფლება უზრუნველ ყოფილი უნდა იქნეს მისთვის, უმცირესობისათვის, საჯარო უფლებრივ ხასიათის კულტურულ დაწესებულებათა მოწყობის უფლების მინიჭებით. ის ამასთანავე კავშირს აბამს თავის ეროვნულ ტერიტორიალურ თვითმართველობასთან კულტურული საქმეების ერთად საწარმოებლათ.

შერეულ თვითმართველობაში თითოეულ ეროვნებას ეძლევა სრული თვითმართველობა ეროვნულ კულტურულ საქმეებში და ამ სფეროში იგი უკავშირდება თავის ეროვნულ ტერიტორიალურ თვითმართველობას.

ამ ტერიტორიათა თვითმართველობა სახელმწიფოს მიერ გადაცემულ კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობს და მოქმედობს სრულიად დამოუკიდებლათ. მათ უფლებას შეადგენს:

1) ცენტრალურ პარლამენტისა და მმართველობის მიერ გამოცემულ ყველა კანონებისა და განკარგულებათა ცხოვრებაში გატარება.

2) ყველა ადგილობრივი ეროვნულ კულტურული საქმეები.

3) ეროვნული სკოლები (იმ პირობით, რომ სკოლა ჩამოშორებულია ეკლესიისაგან და დაწესებულია სახელმწიფოს მიერ სავალდებულო პირველ-დაწყებით სწავლა-განათლება).

4) სახალხო ჯანმრთელობა და საბეითლო საქმე.

5) ადგილობრივ მნიშვნელობის ყველა ნაირი მიმოსვლის საშვალებანი.

6) ადგილობრივი ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონი.

7) ადგილობრივ სასოფლო მეურნეობისა და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

8) ადგილობრივ მუშათა და აგრარული კანონმდებლობა, როგორც შემდეგი განვითარება ძირითად რესპუბლიკანურ უფლებისა ამ სფეროში.

9) სასამართლო თვით უმაღლეს საკასაციო ინსტანციამდე.

10) ადმინისტრატიულ და სამეურნეო ერთეულების ორგანიზაცია.

11) სახაზინო, საუფლისწულო, სამონასტრო, საეკლესიო, საკაბინეტო და კერძო მემამულეთა (დაწესებულ ნორმაზე ზევით) მიწების ექსპლოატაცია თვითმართველობის საზღვრებში.

12) იმ წარმოებათა მუნიციპალიზაცია, რომლებსაც თვითმართველობისათვის საერთო სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

13) ადგილობრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად თვითმართველობის მცხოვრებლებზე ხარჯის გაწერის წესისა და საშუალებათა გამონახვა.

14) კანონმდებლობითი ინიციატივის უფლება იმ სფეროში, რომელიც შეადგენს ცენტრის კომპეტენციას.

ამიერ კავკასიის საერთო საკითხებს არჩევს ყველა თვითმართველობათა წარმომადგენლებისაგან შემდგარი ამიერ კავკასიის საბჭო.

თითოეულ თვითმართველ ერთეულის კონსტიტუცია, როგორც ნაწილი რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის საერთო კონსტიტუციისა, ვერ შეიცვლება ჩვეულებრივ კანონმდებლობითი წესით.

ყრილობა მოითხოვს კონსტიტუციაში შეტანილ იქნას ძირითადი კანონი, რომელიც აუქმებს ცალკე ეროვნების პრივილეგიებს, როგორიც არ უნდა იყვნენ ისინი, და ნაციონალურ უმცირესობის უფლებათა ყოველგვარ დარღვევას.

პროლეტარიატის ინტერესები მოითხოვს რუსეთის ყველა ეროვნებათა მუშების გაერთიანებას პოლიტიკურ, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებში. მხოლოდ ასეთი გაერთიანება ერთგვარ ორგანიზაციებში მისცემს პროლეტარიატს საშუალებას აწარმოოს ძლევამოსილი ბრძოლა საერთაშორისო კაპიტალიზმის და ბურჟუაზიულ ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

მოგვყავს აქვე ის ადგილი ნ. ჟორდანიას თეზისებიდან, რომლებიც არკვევენ ცენტრალურ ორგანოების კომპეტენციას.

რესპუბლიკის ცენტრალურ ორგანოებს ეკუთვნის:

1) მატერიალურ და პროფესიონალურ კანონმდებლობის უფლება სამოქალაქო, სავაჭრო, სათამასუქო, საკრედიტო და სისხლის სამართლის სფეროში.

2) ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის უფლება.

3) ზემოთ დასახელებულ ზოგად რესპუბლიკანურ საკითხების შესახებ ახსნა-განმარტების უფლება.

4) ძირითად მუშათა და აგრარულ კანონმდებლობის უფლება.

5) საერთო გადასახადების სისტემის საზომისა და წონის დაწესების უფლება.

6) ფულის მოჭრის და ქაღალდის ფულის გამოცემის უფლება.

7) ომის გამოცხადებისა და ზავის შეკვრის უფლება.

8) საერთაშორისო ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულება.

9) მილიციის და ფლოტის მოწყობა და მათი გამგებლობა.

10) ზოგად სახელმწიფო და სტრატეგიული მნიშვნელობის რკინის გზები, ფოსტა-ტელეგრაფი და ტელეფონი და ამ დარგებში საერთო წესების დამყარება.

11) გადასახადების საერთო სისტემით აკრეფილ ფინანსები სავსებით შედის რესპუბლიკის ხაზინაში.

12) იმ ხარჯების დაფარვა, რომლებიც გამოწვეულია თვითმართველობის ორგანოების მიერ სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეების შესრულებით.

# უკრაინელთა ბრძოლა კიევისათვის

უკრაინის ავტონომიის პროექტმა კიევის ბედ-იღბალის საკითხიც წამოაყენა—კვლავ დარჩება რუსეთის ხელში თუ გახდება ავტონომიურ უკრაინის დედა-ქალაქად? კიევი ნამდვილი რუსული ქალაქია, როგორც თავისი თანამედროვე კულტურით, ისე თავისი ისტორიული როლით და მნიშვნელობით. ტყუილად კი არ უხმობენ მას „რუსეთის ქალაქთა დედას". აქ ჩაისახა რუსული სახელმწიფოებრივობა, აქედან იწყობა რუსეთის მატიანეს პირველი სტრიქონები. ახლა სრულიად ბუნებრივია ის აღშფოთება, რომელიც ფართო საზოგადოებრივ წრეებში არის გამოწვეული. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აღმასრულებელ კომიტეტმა გადასინჯა რა კიევის საქმე, გამოსთქვა სურვილი, რათა კიევი გამოყოფილ იქმნას ცალკე ადმინისტრატიულ ერთეულად. საზოგადოდ უკრაინის ავტონომიის განხორციელების დროს, კიევი დარჩება თავისუფალ ქალაქად, ხოლო უკრაინის ცენტრად და დედა-ქალაქად აღმორჩეულ უნდა იქმნეს სხვა—უკრაინული, როგორც მცხოვრებთა შემადგენლობით, ისე ისტორიულ მნიშვნელობით—ქალაქი, მაგალ. ქ. პოლტავა.

ასეთნაირ სურვილს თანაგრძნობით შეხვდნენ ფართე საზოგადოებრივ და დემოკრატიულ წრეების წარმომადგენელნი, მხოლოდ ყრუ კონფლიქტი გამოიწვია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აღმასრულებელ კომიტეტების და უკრაინულ ორგანიზაციის შორის.

კონფლიქტი იმაში გამოიხატა, რომ ამ ორგანიზაციის წევრებმა მუშაობას თავი დაანებეს და შემადგენლობიდანაც სრულიად გავიდნენ, ხოლო „ცენტრალ რადამ" კიევის აღმასრულებელ კომიტეტს პროტესტი განუცხა. ცენტრალი რადა ამბობს: იმ ხალხს, რომელიც უკრაინის ქალაქებში სცხოვრობს და ხედავს გარუსებულ ქუჩებს ამ ქალაქებისას, ესმით რა ირგვლივ რუსული ჟარგონი (sic!) სრულიად ავიწყდება, რომ ეს ქალაქები მხოლოდ პატარა ვენძელებია დიდ უკრაინულ ერისა! ავიწყდებათ, რომ გარუსებული ელემენტი კვლავ შეუერთდება მშობლიურ სტიქიას, რომ უკრაინის ზოგიერთ ცენტრების გარუსება, შექმნილია განადგურებულ აბსოლუტიზმის არა ნორმალურ პირობების მიერ. შემდეგ ამბობს, რომ ამ გვარ ისტორიულ დამოკიდებულებას შეუძლია სტიქიური ნიაღვარიც გამოიწვიოს.

ეს დეკლარაცია, ცენტრალ რადის საგანგებო დელეგაციამ პეტროგრადში დროებით მთავრობას წარუდგინა (დეკლარაციაში, სხვა მოთხოვნილებათა შორის ნათქვამია: „უსაცილოდ საჭიროა სახელმწიფო ხაზინის მიერ ფულის გადება უკრაინულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. რომელიც შებორკილ იყო ძველ მთავრობის მიერ".)

ამ საქმისთვის შემდგარია საგანგებო საბჭო, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის წერეთლის თავმჯდომარეობით.

აღმასრულებელ კომიტეტმა დეპეშით სთხოვა წერეთელს: შეგვატყობინეთ მისთვის, თუ რა გადაწყვეტილებანი გამოიტანა კრებამ.

კიევის ბედ-იღბლის გადასაწყვეტად და საერთოდ დეკლარაციაში აღძრულ კითხვების განსახილველად წერეთლიდან პასუხის მიღების უმალ მოწვეულ იქმნება საბჭოთა, ორგანიზაციათა და კოალიციონურ სტუდენტობის ყრილობა.

# უნივერსალი უკრაინისა

**უკრაინის ხალხს უკრაინაში და მის გარეშე მცხოვრებლებს ცენტრალ რადისაგან.**

(დასასრული)

ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვენი კუთხე ანარქიის და აოხრების ქარ-ცეცხლში ჩავაგდოთ და როდესაც დროებით მთავრობას არ ძალუძს დაამკვიდროს ჩვენში სწორ-მართველობა და როდესაც არ სურს იმუშაოს ამ მძიმე საქმეში ჩვენთან შეთანხმებით, ჩვენ იძულებული ვართ თავს ვიდვათ ეს მძიმე საქმე. ეს ჩვენი მოვალეობაა ჩვენი ხალხის და იმ სხვა ტომი ხალხის წინაშე, რომელნიც უკრაინაში ცხოვრობენ. ამიტომ უკრაინის ცენტრალი რადა აქვეყნებს ამ უნივერსალს სრულიად უკრაინის ხალხისთვის და ვაცხადებთ, რომ ამიერიდან ჩვენ საქმეს ჩვენვე გავუძღვებით. დეე ამიერიდან იცოდეს ყოველმა ქალაქის თუ სოფლის მცხოვრებელმა, რომ დადგა ჟამი საშვილიშვილო საქმის შესრულებისა. ამიერიდან თვითეული სოფელი, თვითეული სოფლის საზოგადოება, თვითეული სამაზრო თუ საერო გამგეობა, რომელნიც კი იცავენ უკრაინის ხალხის ინტერესებს, მჭიდრო კავშირი უნდა იყოს შეკრული ცენტრალ რადასთან.

სადაც ამა თუ იმ მიზეზების წყალობით ადმინისტრატიული უფლება უკრაინის მოწინააღმდეგეთა ხელშია—მოვუწოდებთ ჩვენ მოქალაქეებს, რომ მჭიდრო ორგანიზაცია შეჰკრან და უკიდურეს შემთხვევაში ადმინისტრაცია ხელ-ახლად აირჩიონ.

იმ ქალაქებში თუ სოფლებში, სადაც არა-უკრაინელებიც სცხოვრობენ, მოვუწოდებთ ყველა მოქალაქეს შეთანხმდნენ ამ არა უკრაინელ ერის დემოკრატიასთან და ასე შეთანხმებით შეუდგნენ ახალი ცხოვრების გარდაქმნას.

ცენტრალი რადა იმედოვნებს, რომ არა-უკრაინელები, რომელნიც ჩვენ მიწა-წყალზე ცხოვრობენ, შეეცდებიან მშვიდობიანობის დამყარებას, ამ რთულ მომენტში ხელს არ შეუწყობენ ანარქიას და დაეხმარებიან უკრაინის ავტონომიის მოპოვებაში.

და როდესაც ჩვენ დავამთავრებთ მოსამზადებელ საორგანიზაციო მუშაობას, ჩვენ მოვიწვევთ სრულიად უკრაინის ხალხის წარმომადგენლებს, შე-

ვიმუშავებთ მომავალ უკრაინის წეს-წყობილებს და კანონებს, რომელნიც შემდეგ დამფუძნებელ კრებას წარედგინება დასამტკიცებლად, რომელიც მოვალე იქნება რომ დაამტკიცოს.

უკრაინის ხალხო! შენგან არჩეულთ წინაშე—ცენტრალი რადის წინაშე—დიდი კედელი არის ამართული, რომელნიც უკრაინის კეთილდღეობისა და თავისუფლებისთვის უნდა დანგრეულ იქმნას. ამისთვის საჭიროა ძალა, საჭიროა მძლავრი და მომქმედი ხელები, საჭიროა დიდი სახალხო მუშაობა და საქმის კეთილად დასაბოლოებლად საჭიროა დიდი თანხა.

დღემდე, უკრაინის ხალხო, მთელ შენ თანხას რუსეთის ცენტრალ ხაზინას აძლევდი, მაგრამ შენ უფლება არ გქონდა და არც ახლა გაქვს, მოგეთხოვა ის, რისი უფლებაც შენ გქონდა.

ამიტომ უკრაინის ცენტრალი რადა მოუწოდებს სოფლის და ქალაქის ორგანიზაციონურ საზოგადოებას, უკრაინელების საზოგადოებრივ მართველობას, რომ პირველ მკათათვიდან დაიწყონ ახალ გადასახადის მოკრეფა სამშობლო საქმისთვის და ამრიგად შეკრებილი თანხა ცენტრალ რადის ხაზინაში გამოგზავნონ.

## რევოლიუცია თუ რეაქცია

დაჟინებითი ხმებია, რომ რუსისა და უცხოელთა საბანკო დაწესებულებების მონაწილეობით უკვე მზადდება ის მექანიზმი, რომელიც „სოციალისტურ ექსპერიმენტების გაბათილების შემდეგ“ ხელთ იგდებს საკვების საქმეს.

როგორც ჩანს, რეაქცია არა მარტო საზოგადო პოლიტიკურ მნიშვნელობის ორგანოებს (სახელმწ. სათათბირო), არამედ რთულ მოსაქმე მანქანასაც გვიმზადებს. ტყუილად კი არ გაჰკიოდა მ. ვ. როძიანკო „სრულიად რუსეთის სახელით“ და თავის არსებობას აგონებდა ხალხს. კანონთა კრებულის 16 ტომში ბევრი ძველი დებულებაა, მაგრამ ესენი ისე დაჟინებით არ გვაგონებენ თავიანთ თავს, როგორც ის კანონები, რომელთა ძალითაც თიბათვის 3-ს რაინდებისგან შემდგარი კერძო სხდომები!

მართვა სახელმწიფოსი—საქმეთა წინასწარ გათვალისწინებაა. ამიტომ გულკეთილნო, ჩვენ გარშემო მომხდარ საქმეებზე თვალს ნუ ჰხუჭავთ.

ბოიკოტი თავისუფლების სისხს, წარმოების საბოტაჟი, მედუქნეთა მიერ ხალხის დაცინვა, მწარმოებელთა სავსებით სურვილი წარმოების გადაცემისა ხელში, წარმოების კავშირები ქალაქად, მიწის მესაკუთრეთა კავშირები სოფლად!.. მთავრობის წინააღმდეგ აქა-იქ აგიტაციები! ამას დაურთოთ გაუნათლებელ ხალხის სულიერად დაცემა, იმ ხალხისა, რომელიც ვერც ორგანიზაციებისა და ვერც დროებით მთავრობისაგან გადადგმულ გადამწყვეტ ნაბიჯებს აჩნევს!.. სახელმწიფო მექანიზმი ჯერ კიდევ საერთოდ ხელშეუხებელია. აგერ ძველებურად დეპარტამენტები, შეთქმულებანი, კომიტეტები და კომისიები, სათათბირო და საბჭო—მიტოვებული სახლი გათეთრებულ ფანჯრებით. პატრონი საზღვარგარეთ კოდაა, მოსამსახურენი გარედ სამუშაოზე (დამამხობელ აგიტაციებისთვის) გასულან. საშემოდგომოდ პატრონს მოელიან, უიმისოდ დარდობენ და თანაც დასახვედრად ემზადებიან.

უცქერის ადამიანი და ვერ გაუგია რევოლიუციაა ჩვენში, თუ გულუბრყვილო საზაფხულო დროს გატარება იმ მდგომარეობისა, რომელთაც მოსამსახურენი დაუბრთხვიათ და გათამამებულან („ნოვ. ჟიზნ“).

## სრულიად რუსეთის გლეხთა ყრილობის დადგენილებანი

ამ ხანში პეტროგრადში მოხდა სრულიად რუსეთის გლეხთა ყრილობა, რომელსაც დაესწრო 75 მილიონ შეკავშირებულ გლეხთა წარმომადგენელი, რიცხვით ათას კაცზე მეტი. ყრილობას ხელმძღვანელობდენ რუსეთის სოციალისტ-რევოლიუციონერების ბელადები. ამ ყრილობამ მიიღო მიწისა და ეროვნულ საკითხებზე შემდეგი დადგენილებანი:

**მიწის საკითხი**

ყველა მიწა, სახელმწიფო, საეკლესიო, სამონასტრო, კერძო მემამულებისა უნდა გადავიდეს მთელ ხალხის ხელში, რომ მიწა ისარგებლოს თანასწორად ყოველმა მიწის მუშამ, მიწა უნდა გადაეცეს ხალხს სრულიად გამოუსყიდველად.

ამ საქმის შესრულება უნდა დაეკისროს დამფუძნებელ კრებას, ხოლო საამისო ცნობების შეკრებას და სამაზრის ეხლავე უნდა შეუდგნენ სადგილ-მამულო კომიტეტები.

**რუსეთის მომავალი სახელმწიფო წესწყობილება**

სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების ყრილობა, გამომხატველი შეკავშირებულ მშრომელ გლეხთა ნებისა, ხალხის შვილთა სისხლით მოპოვებულ თავისუფლების განმტკიცებისა და გაძლიერების ჟამს, საყოველთაოდ აცხადებს:

„მშრომელმა რუსეთმა, რომელიც შეუფერხებლად მიისწრაფვის უსრულეს თავისუფლებისა და თვით გამორკვევის განხორციელებისაკენ, როგორც მცირე ხალხთა, აგრეთვე რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებ ერებისთვის, უნდა შეჰქმნას ისეთი სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც უზრუნველ ჰყოფს ზემოხსენებულ უფლებას.

ამის განსახორციელებლად სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების ყრილობა მოუწოდებს მშრომელ გლეხობას დაჟინებით მოითხოვოს დამფუძნებელ კრებაზე რუსეთის ფედერაციულ-დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელშიაც ყველა ეროვნებას ექნება სრული თავისუფლება თავის შინაური ცხოვრების მოწყობისა.

სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების ყრილობა ღრმადაა დარწმუნებული, რომ როდესაც ყველა ერისთვის დაარსდება ფართო და სრული ავტონომია და ერთი ერი აღარ დაჩაგრავს მეორეს, მხოლოდ მაშინ შეიქნება შინაური თავისუფალი ერთობით განმტკიცებული და ძლიერი რუსეთი“.

## ქართველ მხედრობის ხმა

**ოქმი კავკასიის I მსროლელთა და 184 ქვეითა დივიზიების ქართველ მეომართა საერთო ყრილობისა 13 მაისს 1917 წ.**

კრება გაიხსნა $10^1/_2$ საათზე. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ერთხმად ექიმი ოქროპირიძე, თავმჯდომარის ამხანაგებად: ვასო ხარებაშვილი და ექიმი იზხნელი. მდივნებად: ვასილ ჯორჯაძე და ექიმი კომიაშვილი.

დღის წესრიგი შემუშავებული ორთავე დივიზიის კომიტეტებისაგან წინასწარ კრებაზე წაუკითხა კრებას თავმჯდომარემ.

ექ. ოქროპირიძემ მოკლედ მოახსენა მოქმედება კომიტეტებისა 26 აპრილიდან 13 მაისამდის. აქვე იქმნენ წაკითხული კომიტეტების სხდომების ოქმები, რომლებიც კრებამ დაამტკიცა. კომიტეტების შემოსავალ-გასავლის დამტკიცება კრებამ სარევიზიო კომისიას მიანდო.

სადღეისო საუბრების გამართვის შესახებ კრებამ საჭიროდ დაინახა რაც შეიძლება მალე დაარსდეს კულტურულ-განმანათლებელი წრე, რომელიც გამართავს ცალ-ცალკე ნაწილებში საუბრებს სხვა და სხვა კითხვების შესახებ.

საჭიროა თუ არა წარმოდგენების და სალამ. გამართვა, კრებამ ხმის დიდი უმეტესობით (წინააღმდეგ 15) საჭიროდ დაინახა ფასიანი წარმოდგენების და სალამოების გამართვა. აქვე გადასწყვიტეს ბილეთების ფასი 25 კ., 50 კ. და 1 მანეთი.

ქვემო ჩამოთვლილ პირებს: ბრაგვაძეს, პორუჩიკ შავდიას, ენასარიძეს, არაპრაპორშჩიკ ალექსი-მესხიშვილს, კბილის ექიმს თამარ ალექსი-მესხიშვილს და დათეშიძეს დაევალათ კომიტეტთან ერთად იზრუნონ სალამოების მოწყობისათვის.

მსჯელობა იყო ათის თავების არჩევნების შესახებ. საერთო კრებამ მხოლოდ გაანაწილა, თითო ნაწილს რამდენი ათის თავი უნდა აერჩია. სულ ორთავე დივიზიაში 265 კაცია ქართველი მეომარი და სულ 26 ათის თავს აარჩევენ.

შემდეგ კრებამ დაადგინა, წერილით მიულოცოს ირაკლი წერეთელს მინისტრად დანიშვნა. კომიტეტის დავალებით კრებამ მოიწონა და კომიტეტს დაავალა მისი ფოსტით გაგზავნა. წერილში ის აზრი უნდა გატარებულიყო რომ ქართულ პარტიების შეერთებაა საჭირო.

წერილი მინისტრ ირ. წერეთელთან.

ძვირფასო თანამემამულე ხალხის მინისტრო ირაკლი!

ჩვენ ფრონტზე მყოფ ორ დივიზიის ქართველ მეომართა საერთო კრება (კავკასიის მსროლელთა პირველი და 184 დივიზიისა) აღტაცებით მოგესალმებათ საყვარელო ტრიბუნო ახალ და პასუხსაგებ თანამდებობაზე დანიშვნის გამო. გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას ამ ფრიად ძნელ და კრიტიკულ ხანაში. დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენ შეძლებთ ყოველნაირ დაბრკოლების დაძლევას და თამამად მაღლა აფრიალებულ წმინდა დემოკრატიის დროშის დაშვების ნებას არავის მისცემთ, თქვენ უფრო მაღლა და უფრო მხიარულად აფრიალებთ მას. თქვენი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება მთელი ქვეყნის დემოკრატიის ისტორიაში. ვამაყობთ ჩვენი სისხლის და ხორცისაგან წარმოშობილ ღვიძლ ძმის სიდიადეს და გვინდა კვლავაც სამარადისოდ ვამაყოთ იგი. გვინდა ვიფიქროთ რომ მთელ ქვეყნიერობის მაშვრალთა ზრუნვაში არ დაგვივიწყებთ ჩვენც, თქვენს ძმებს, ქართველ მშრომელ ხალხს, ქართველ დემოკრატიას. ჩვენს პატარა სამშობლოში უკიდურესად გამწვავებული დოქტრინიორული პარტიული ბრძოლა საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიის გარშემო აბნელებს დღის ნამდვილ საჭიროებებს, ჰქსაქსავს, ასუსტებს ისედაც მცირე რიცხოვან ქართველ დემოკრატიას. ერთის წუთით მიჰხედეთ საქართველოს, მოიხმარეთ მთელი თქვენი გავლენა და ავტორიტეტი და აქაც ააფრიალეთ ჭეშმარიტი დემოკრატიული საერთო თავისუფლების დროშა, რომლის გარშემოც შესძლებს ქართველი დემოკრატია მთელი თავისი ძალით შემოკრბეს. ქართველი ერი მაშინ შესძლებს ინტერნაციონალს მტკიცე მხარი მისცეს, როცა იგი მასში სწორუფლიბიან წევრად შევა, როცა იგი აღარ იქნება სხვა ერის ქვეშევრდომი. ჩვენ ვითხოვთ, რომ ქართველმა სოციალ-დემოკრატიამ ეხლავე პოზიტიურად გადასჭრას საკითხი საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიისა და ამით საშუალება მისცეს მთელ ქართველ დემოკრატიას სადღეისოდ მის გარშემო მოიყაროს თავი.

გისურვებთ გამარჯვების შარავანდედით შემოსილი და პირნათელი გამოხვიდე მომავლისთვის ფრიად სერიოზულ და პასუხსაგებ ბრძოლიდან როგორც მთელი ქვეყნის ისე კერძოდ ქართველ დემოკრატიის წინაშე“.

რუსულ გაზეთებში ჩვენ დეპეშების არ დაბეჭდვის შესახებ კრებამ დაავალა კომიტეტს შეეკითხოს გაზეთებს: „დენ“, „რეჩ“, „რუსკოე სლოვო“ და „ნაშა ჟიზნ“ რა მიზეზით არ დაბეჭდეს ჩვენი დეპეშა—რეზოლიუცია.

ფრონტის ქართველ მეომართა დელეგატების ყრილობის შესახებ კრებამ მოისმინა ფრონტის უფროსის პასუხი, რომელშიაც ამბობს რომ, რადგან ქართველებს ჯერ არმიების ყრილობა არა ჰქონიათ ამიტომ ნაადრევად მიაჩნია ფრონტის დელეგატების ყრილობაო.

კრებამ კამათის შემდეგ დაავალა კომიტეტს არმიის დელეგატთა ყრილობის მოწვევაზე იზრუნოს.

კრებამ მოისმინა უკრაინელების მისალმების წერილი ჩვენდამი და ტაშის კვრით და ვაშას ძახილით მიეგება.

კრებას წაუკითხა საერთო კრების დადგენილება—მიჰმართოს ყოველ ჯარის ნაწილს ფულით დახმარება გაუწიონ ქართველ მეომრებს ქართულ გაზეთებისა და ლიტერატურის შესაძენად. ყველა ჯარის ნაწილმა დივიზიაში სიამოვნებით გამოიღო თავისი ხვედრი ფული, ზოგმა მეტიც გამოგვიგზავნა. უარი მიიღო კომიტეტმა მხოლოდ კავკასიის მსროლელთა დივიზიის „პერევიაზოჩნი ოტრიადი“-ს კომიტეტისგან.—აქვე წაიკითხა წერილი „ოტრიად“-ისა—ქართველთა კომიტეტის მიმართ და მის პასუხი შედგენილი ქართველთა კომიტეტის. მიერ წერილების ტექსტები:

„პირველ კავკასიის მსროლელ დივიზიის „პერევიაზოჩნი ოტრიადის“ 1917 წ, მაისის 7 ოქმებიდან ამოწერილი:

§ 6. უარი ეთქვას ქართველ მხედართა კავკასიის პირველ მსროლელთა და 184 ქვეითა ჯარის დივიზიის კომიტეტს ფულის მიცემაზე საგანმანათლებელო მიზნით, რადგან ჩვენი „ოტრიადის“ კამანდაში არ არიან ქართველები, პოლონელები, სომხები, მალოროსები და სხვები, არამედ ყველანი ერთ საერთო ოჯახს შეადგენენ. ამიტომ ყველანი ისარგებლებენ ყველა გამოცემებით რუსულ ენაზე. ვისაც კი სურს თავის სამშობლო ენაზე იკითხოს, მათ შეუძლიანთ თავიანთ ხარჯით გამოიწერონ. ხელმოწერილია: თავმჯდომარე კომიტეტისა ფერშალი ვოლჩკოვი, თავმჯდ. ამხ. პოდპრაპორჩიკი ლიხაჩევი, კომიტეტის წევრები: უნცროსი უნტერ-ოფიცერი ტერ-არუთინოვი, მდივნის მაგიერ უმცროსი უნტ.-ოფიც. ა. ულიანოვი“.

პასუხი ქართველ კომიტეტისა „პერევიაზოჩნი ოტრიადს“:

„თქვენ მაისის 7-ის პასუხზე ქართველ მხედართა კავკასიის I მსროლელთა და 184 ქვეითა დივიზიების საერთო კრებას შეუძლიან განაცხადოს, რომ ჩვენ სრულებით არ გვაკვირდა ძველ დახავსებულ რეჟიმის მარკიზ მეორეების და ძმათა მათთა მოპყრობა რუსეთში მცხოვრებ ეგრედ წოდებულ „ინოროდცებთან“ და მათი გამარუსებელი პოლიტიკა, რომელიც მათ უბრძნეს სახელმწიფოებრივ პოლიტიკად მიაჩნდათ, მაგრამ დღეს გვაკვირვებს ჩვენ ის მოვლენა, რომ თავისუფალ რუსეთში მოიძებნა ერთი პატარა სამხედრო ორგანიზაცია ზემო ხსენებულ პირთა მსგავსნი, რომელთაც ერთის კალმის მოსმით უნდათ ყველანი გაარუსონ. რა დავარქვათ იმ საქციელს, როდესაც—პოლონელებს, ქართველებს, სომხებს, უკრაინელებს და სხვა ერთა შვილთ, რომელთა წმიდა სისხლი იღვრება საერთო ბრძოლის ველზე, ქანცგამოლეულნი ყოველ გაჭირვებაში გვერდში გიდგანან, სულიერ საზრდოს მაგიერ ქვას აწვდით!!? ან იქნება ჰფიქრობთ, ყველა ჩამოთვლილნი ვალდებულნი არიან ზედ მიწევნით იცოდნენ და ჩამოგიბულბულონ შავრაზმული გაზეთები „ზემშჩინა“ და სხვა მათი მინაგვარი?! სცდებით. ჩვენ უფრო ვფიქრობთ რომ თქვენ ჯერ კიდევ ვერ გაგიგიათ სავსებით დიდი აზრი ახალ თავისუფალ საერთო სახელმწიფოს გამგებლობისა. როდესაც გვეუბნებით, რომ თავიანთ სამშობლო ენაზე კითხვის მსურველთ შეუძლიანთ თავიანთ საკუთარ ხარჯზე გამოიწერონო, თქვენ ალბათ ჰფიქრობდით, რომ ქართველები თქვენ მოწყალებას გთხოვდნენ?! არა, ისინი კანონიერ უფლებით მოითხოვენ, ვიმეორებთ მოითხოვენ, და არა გთხოვენ მოწყალებას, რომ საერთო ეკონომიურ ჯამიდან იმისთვის იყოს გადადებული მათი ხვედრი ფული, რადგან ამ ჯამში მათი საკუთარი ნაწილიც შედის“. საერთო კრებამ დაადგინა ეს ორივე წერილი კავკასიის I მსროლელთა დივიზიის საერთო კომიტეტს გადაეცეს განსახილველად.

ექიმ იზხნელს მოხსენება უნდა წაეკითხნა საქართველოში მომქმედ პარტიების შესახებ, მაგრამ დაგვიანებისა გამო გადაიდო.

P, S. ვთხოვთ „ჯარის კაცის“ და „ალიონის“ რედაქციებს ეს ოქმები გადაბეჭდონ.

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 8, | 11.05 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8,20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 11.15 | საღ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.24 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5. | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 8***, | 8.10 | დილ. |

III წელ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წელს III წელ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„თავისუფლება“-ზე

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ, რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი პირვ). წლიურად ჟურნალი ღირს 7 მ., ნახევარი წლით 4 მ, სამი თვით 2 მ. თვიურად 80 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოთ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა“), ისიდორე კვიცარიძესთან. თბილისში, კავკასიის საფერშლო სკოლის მოწაფესთან, ტერენტი გ—ძე სვანიძესთან და შალვა იასონის ძე მეგრელიშვილთან. ჭიათურაში—პლატონ პ—ძე კილასონიასთან, სამტრედიაში მინა კოპალეიშვილთან, ფოთში—ნესტორ დოლიძესთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში, ბაქოში—სანდრო ქურიძესთან, ქალაქის თვითმართველობაში და მოსკოვში, სტ. შალვა დ. გომართელთან. ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით:

Кутаисъ, Роману Спиридоновичу Панцхава.

მაისის 7-დან გამოდის ქართველ სამხედრო პირების თანამშრომლობით გაზეთი

„ჯარის კაცი“

გაზეთი წლის დამლევამდე ღირება 4 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 5 კაპ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: г. Тифлисъ. Редакція газ. „Джарисъ Каци“. Почтовый ящикъ № 190

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე № 5 და ღია არის დილის 10—2 ს. და საღამოს 7—8 ს.

10—740—2 რედაქტორ-გამომცემელი კ. ცქიტიშვილი.

## განცხადება

### ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მუშათა საკითხის გამო ამა წლის თიბათვის 15-დან ბარგის მიღება და მიცემა, დოკუმენტების აღება და შემოწმება და ბარგის გამოწერა ქვემორე ნათქვამ დროს მოხდება.

1) სადგურზე ბარგი მიტანით უნდა იქმნეს ზაფხულში (აპრილის 1 დან ღვინობისთვის 1-დინ) დილის 6 საათიდან დღის პირველ საათამდის, ზამთრობით კი (ღვინობისთვის 1-დან) დილის 7 საათიდან დღის 2 საათამდის.

2) ბარგის მიღება რკინის გზის მიერ ზაფხულში მოხდება დილის 7 საათიდან დღის 2 საათამდის. ზამთარში კი დილის 8 საათიდან დღის 3 საათამდის.

3) ვაგონების დაცლა მოხდება დილის 6 საათიდან დღის 2 საათამდის, ზაფხულობით. ზამთრობით კი დილის 8 საათიდან 4 საათამდის. ამ ხანში 10—11 საათამდის მუშაობა შეწყვეტილი იქნება. უქმ დღეებში კი 6—11 საათამდის.

4) ბარგის წაღება სადგურიდან მოხდება ზაფხულობით დილის 7 საათიდან დღის 3 საათამდის, ზამთრობით კი დილის 8 საათიდან დღის 4 საათამდის.

5) მოწმობების და ქაღალდების აღება და შემოწმება გასაგზავნ ბარგისა მოხდება დილის 7 საათიდან დღის 3 საათამდის ზაფხულობით, ზამთრობით კი დილის 8 საათიდან დღის 4 საათამდის.

6 ბარგის ამოწერა კასებში მოხდება ზაფხულობით დილის 7 საათიდან დღის 2 ნახ. საათამდის, ზამთრობით კი დილის 8 საათიდან დღის 3 ნახ. საათამდის.

7) სამხედრო ბარგის ოპერაციები საომარ მოქმედებით გამოწვეული ისევ ძალაშია (მორიგეობა).

8) უბრალო ბარგის (Навалочный) ისევ ისე იქმნება, როგორც იყო (მორიგეობა).

9) ბარგს რკინის გზა არ მიიღებს და პატრონს არ ჩააბარებს შემდეგ დღეებში იანვრის 1 და 6-ში, მარტის 25-ში, აღდგომისა და შობის პირველსა და მეორე დღეებში და იმ საერთო სახალხო დღესასწაულებში, რაიც შეიძლება შემდეგში დაწესდეს. ომის გათავების მერმე კი კვირადღეობითაც.

10) ქვემორე მოხსენებულ დღეებში კი ბარგის საქმე რკინის გზის სადგურზე დილის 8—12 საათამდის იწარმოებს. ასეთი დღეებია: კვირა დღე—ომის დროს, ვნების კვირის ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს, თებერვლის 2-ს, მარიამობისთვის 6 და 15-ს, ენკენისთვის 8 და 14-ს, ღვინობისთვის 1 და 22 ს, გიორგობისთვის 21 და ქრისტეშობისთვის 24-ს. ამ დღეებში ბარგის მოტანა დილის 11 საათზე გათავდება. 3—739—3

## მოსამსახურეთა ბანკი

სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებებში, ფაბრიკებში, ქარხნებში და სავაჭრო-სამრეწველო თბილისის სხვა და სხვა დაწესებულებებში მოსამსახურეთათვის, ამ მოკლე ხანში გაიმართება

## მოსამსახურეთა ბანკი

(საურთიერთო საზოგადოება)

მშრომელ მოსამსახურეს, გონებით და ჯანით მომუშავეს და ყოველ პროლეტარს ამ ბანკში შეეძლება ნივთიერ დახმარება-კრედიტის შოვნა, თავის ჯამაგირის კვალობაზე 100—5000 მანეთამდი.

ბანკი პროლეტარის და არა ბურჟუაზიის ინტერესებისათვისაა დაარსებული. ამიტომ ჩაეწერენით ყველა, ვისაც კი ჯამაგირს იღებს: ოფიცრები, სალდათები, ბუხჰალტრები, კანტორის მოსამსახურენი, ექიმები, მასწავლებლები, ვექილები, ინჟინრები, მოხელენი ნოქრები და ყველა მშრომელი, ქალი თუ კაცი. ბანკის გახვითარების და საფუძვლისათვის შექმნილია ერთი დიდი მოსამსახურეთა ორგანიზაცია, რომელიც მათ გაჭირვებულ შემთხვევაში დახმარებას გაუწევს. წინასწარი საწევრო გადასახადი, ნათხოვნ თანხით 2%. ა. ვიდრე ბანკი მოქმედებას დაიწყებდეს, ეს ფული შენახული იქნება სახელმწიფო, ვაჭრების და კავკასიის ბანკებში. ჩაწერა შეიძლება ბანკის დამაარსებლებთან: 1) ი. ი. ბორონ ფონ-ბრენნერთან (საკომერციო კლასების დირექტორი, ნაზღრეტ. 19, საღამოს 6 7 ს.) 2) ა. ხ. ქალანთაროვთან (კავკასიის ბანკის მთავარი ბუხჰალტერი 11—1 საათ.), 3) ს. დ, მანცოვთან (მიმდინარე ანგარიშების გამგე სახელმწიფო ბანკში 11—1 ს.), 4) ი. ფ. პალატნიკოვთან (საბუხჰალტერიო კურსების გამგე. მიხეილის პროსპექტი 132, საღამოს 6—8 ს.) 5) ა. პ. საფარიანთან (ვაჭრების ბანკის მთავარი ბუხჰალტერი 11—1 საათ.), 6) ს. გ. ტარიელოვთან (სასოფლო-სამეურნეო ბანკის მთავარი ბუხჰალტერი 10—2 ს.).

გამგის მოვალეობის აღმასრულებელი ი. ბრენნერი.
1—682—1

## საავადმყოფო

### სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის;

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

**ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.**

ბელანჟე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1ს სათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელიანი—ქალთა დ საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—26

## თეკზის ყრიმელნი

## ძმ. მეჯველოვები

ბებუთოვის ქუჩა, ბაკურიანის სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარი და სავაჭრო სახლ. „ლ. მაკლოვისა-ვინა, (სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზილალა, მცირე მარილიანი, შავი „მალოსოლ“ ხიზილალა. მიიღეთ საუკეთესო სალიანის შამაიკა მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მწკვრის ზუთხი, თართი, ჭანარი და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველნაირი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება. (წ.)